# 24 საათი

www.24saati.ge

The New York Times International Weekly ყოველ შაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 6 მარტი, 2009 წელი. №49 (2087) | ფასი 50 თეთრი


# ნატო ორ სკამზე

## რუსეთი იზოლაციისკენ თავად ისწრაფვის

დიმიტრი ავალიანი

*ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთთან ურთიერთობა განაახლა. ბრიუსელში აღიარებენ, რომ მთელ რიგ საკითხებში რუსეთთან პარტნიორობით დაინტერესებულები არიან. ალიანსს ორ სკამზე ჯდომა მოუწევს, თუმცა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის დავიწყებას არავინ აპირებს - მოსკოვის მიმართ ალიანსის ყველა მოთხოვნა ძალაში რჩება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან პირველი ოფიციალური მოლაპარაკების წინ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელს შეხვდა. გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, ეს უბრალო დამთხვევა არ არის - დასავლელ დიპლომატებთან საქართველოს საკითხზე ლაპარაკი კრემლს კიდევ ბევრჯერ მოუწევს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



AFP ' 2009

# საგაზაფხულო აქციები ქუთაისშიც "დაანონსდა"

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნისა და სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციების დაწყება ქუთაისში 10 მარტიდან იგეგმება. ამის თაობაზე გუშინ "მოძრაობა 7 ნოემბრის" წარმომადგენელმა ჯაბა ჯიშკარიანმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.

**"10 მარტს ჩვენ იმერეთის სამხარეო პოლიციის შენობის წინ ჩავატარებთ აქციას. მასში 1000-მდე ადამიანი მიიღებს მონაწილეობას და ეს იქნება ამ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი,"** - აცხადებს ჯიშკარიანი.

აქციის ჩატარების ნებართვის მისაღებად, მოქმედი კანონის შესაბამისად, "მოძრაობა 7 ნოემბრის" წარმომადგენლებმა გუშინ ოფიციალური წერილით მიმართეს ქუთაისის მერიას.

**"ნებართვა იმისთვის გვჭირდება, რომ არ მოხდეს აქციის დარბევა, თუმცა 27 თებერვალს, თბილისში, ჩვენი სანქცირებული მიტინგი მაინც დაარბია საპატრულო პოლიციამ,"** - აღნიშნა ჯაბა ჯიშკარიანმა.

ქუთაისის მერიაში აცხადებენ, რომ მანიფესტაციის ჩატარების ნებართვის შესახებ "მოძრაობა 7 ნოემბრის" წარმომადგენლების წერილობით განცხადებას ჯერ არ გაცნობიან.

გაგრძელება A2 გვერდზე


ირანი თავს რაკეტებით დაიცავს A8





კომენტარები მთავარზე A10





"ბათუმი პლაზა" რამდენიმე თვეში გაიხსნება A4





24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ურთიერთობას

GRDC group

ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი



24 საათი | The New York Times Articles selected for 24 საათი | Weekend

**1 მარტიდან**

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

## "უბრალოდ, უნდა გავუძლოთ"

ბოლო დღეებში საქართველოს პარლამენტი საგარეო პოლიტიკურ უწყებას დაემსგავსა: ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს უამრავი უცხოელი პოლიტიკოსი და დიპლომატი სტუმრობს. როგორც "24 საათი" უკვე წერდა, 4 მარტს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ თავისი ლიტველი კოლეგა არუნას ვალინსკასი მიიღო, რის შემდეგაც პარლამენტის სპიკერი იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, სენატორ ალფრედო მანტიკას შეხვდა. გუშინ უკვე საპარლამენტო კომიტეტების ხელმძღვანელები აქტიურობდნენ: დავით დარჩიაშვილმა და აკაკი მინაშვილმა დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის თავდაცვის კომიტეტის წევრებს უმასპინძლეს, მოგვიანებით კი იგივე მინაშვილმა და ჩიორა თაქთაქიშვილმა საქართველოში აკრედიტებულ ელჩებთან და მისიების წარმომადგენლებთან ისაუბრეს.

გუშინ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჩიორა თაქთაქიშვილმა უცხოელ დიპლომატებს მიაწოდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რამდენიმე დღის წინ რვა პოლიტიკურმა პარტიამ ხელი მოაწერა საარჩევნო კანონმდებლობაზე მომუშავე ჯგუფში მონაწილეობის ქცევის კოდექსს. დეპუტატებმა მათ ამ კოდექსის ძირითადი დებულებებიც გააცნეს.

**"ელჩები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ძალიან არიან დაინტერესებულნი, რომ თვალყური ადევნონ საარჩევნო კოდექსის დახვეწასთან დაკავშირებით მიმდინარე მუშაობას. მათ კმაყოფილება გამოხატეს იმის გამო, რომ ეს მუშაობა პირველ მოსალოდნელ, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე გაცილებით ადრე იწყება. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კანონის მიღებიდან მის რეალიზებამდე არსებობდეს გარკვეული პერიოდი, რათა საარჩევნო სიახლეების სრულყოფილად დანერგვა მოესწროს,"** - საქართველოში აკრედიტებულ ელჩებთან და მისიების წარმომადგენლებთან დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის თავდაცვის კომიტეტის წევრებს, დავით დარჩიაშვილის თქმით, მათ, პირველ რიგში, საქართველოში არსებული ვითარება აინტერესებდათ.

**"პარლამენტარებს საზოგადოებასთან ურთიერთობის ყველაზე მეტი საშუალება აქვთ, მაგრამ ზოგჯერ ისინი უფრო ნაკლებად ინფორმირებულები არიან, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. ამიტომ, დიდი ბრიტანეთის საზოგადოებასთან, მის სხვადასხვა სახელისუფლებო შტოებთან ურთიერთობების ინტენსიფიკაციისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ახსნა-განმარტებებს იმის შესახებ, თუ, მაგალითად, რატომ დაიწყო ომი, ამჟამად განვითარების რა ეტაპზე ვიმყოფებით და ა.შ.,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში დავით დარჩიაშვილი და იქვე შენიშნავს, რომ **"ასეთი ინფორმაციული ხასიათის შეხვედრები ხელს უწყობს ურთიერთგაგების მშენებლობას".**

**გიორგი ასანიშვილი**

## ნიკა გილაური ბენიტა ფერერო-ვალდნერსა და იაპ დე ჰოოპ სხეფერს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური გუშინ ბრიუსელში ევროკომისარ ბენიტა ფერერო-ვალდნერს და ნატო-ს გენერალურ მდივან იაპ დე ჰოოპ სხეფერს პირისპირ შეხვდა. ვიზიტის ფარგლებში გილაურმა რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა გამართა. კერძოდ, პრემიერი გუშინ ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელ იაცეკ სარიუშ-ვოლსკის შეხვდა. მხარეებმა კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის მონიტორების შესვლის საკითხი განიხილეს. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ გილაურმა განაცხადა, შეხვედრაზე საუბარი ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის დაპირებულ დახმარებას შეეხო, რომელიც დონორების მხრიდან საქართველოსთვის გამოყოფილი 4,5 მლრდ აშშ დოლარის ნაწილია.

*პირველი*

## "თუ აპრილის აქციები კონსტიტუციურ ფარგლებს არ გასცდება, ხელისუფლება ძალისმიერ მეთოდებს არ გამოიყენებს"

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის განცხადებით, "თუკი აპრილის საპროტესტო აქციები კონსტიტუციურ ფარგლებში გაიმართება, ხელისუფლების მხრიდან ძალისმიერი მეთოდები გამოყენებული არ იქნება." "კონსტიტუციის ფარგლებში პროტესტის გამოხატვის უფლება ყველას აქვს და ხელისუფლება არანაირ ზომებს არ მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ პროტესტი კონსტიტუციურ ფარგლებში იქნება გამოხატული," - განაცხადა დავით ბაქრაძემ. მისივე თქმით, "პირიქით, აქციის მონაწილეებს წესრიგის დაცვაში თავად ხელისუფლება დაეხმარება, ისე როგორც წინა მანიფესტაციის დროს მომიტინგეებს წესრიგის დაცვაში "პატრული" ეხმარებოდა." "არანაირ ძალისმიერ ჩარევას სახელმწიფო არ აპირებს," - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

**მედიანიუსი**

# საგაზაფხულო აქციები ქუთაისშიც "დაანონსდა"

პირველი გვერდიდან

**"საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორგანიზაციამ, პირთა ჯგუფმა ან პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც გადაწყვეტს მანიფესტაციის მოწყობას, ადგილობრივ ხელისუფლებას 5 დღით ადრე უნდა აცნობოს. ჩვენ გავეცნობით ამ განცხადებას. მთავარია, დაცული იყოს კანონის ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა უსაფრთხოება, მოძრაობისთვის ხელის არშეშლა,"** - აცხადებს ქუთაისის მერის პირველი მოადგილე ზაზა ნუცუბიძე.

10 მარტისთვის დაგეგმილ აქციაში, "მოძრაობა 7 ნოემბრის" წარმომადგენლების გარდა, ოპოზიციური პარტიებიც მიიღებენ მონაწილეობას, თუმცა ამის შესახებ ოფიციალური განცხადება ჯერჯერობით მხოლოდ "კონსერვატორების" იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გოჩა ბაძგარაძემ გააკეთა.

"მოძრაობა 7 ნოემბრის" წარმომადგენლების თქმით, ანალოგიური აქციები 10 მარტიდან საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდება, რათა ეს პროცესი 9 აპრილს მასშტაბურად გაგრძელდეს თბილისში. გასცემს თუ არა ქუთაისის მერია სანქცირებული მიტინგის გამართვის ნებართვას, ჯერჯერობით უცნობია.

**"ეს განცხადება განხილული იქნება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად,"** - აცხადებენ მერიაში.

# ოპოზიციის საგანგებო რეჟიმი

ვერიკო თევზაძე

*9 აპრილის აქციის ინიციატორი 13 პარტია პარტიულ საქმიანობას წყვეტს და მთავარი აქცენტი ხალხის მობილიზაციზე გადააქვს, - ეს განცხადება გუშინ ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა გააკეთეს.*

სამზადისი გუშინვე, 9 აპრილის" საკოორდინაციო შტაბების შექმნით დაიწყო. 9 აპრილი - ერთად გადავარჩინოთ საქართველო," - ეს ბანერი ოპოზიციის ლიდერებმა პოლიტიკური მოძრაობა "საქართველოს გზის" ოფისის შენობაზე გამოკიდეს.

პირველი პრეზენტაციაც სწორედ ამ პარტიაში მოეწყო.

"9 აპრილის" შტაბები გახსნეს კონსერვატორებმა , მრეწველებმა , პოლიტიკურმა გაერთიანებამ თავისუფლებამ , "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენლებმა.

აქციის ორგანიზატორთა განმარტებით, უახლოეს დღეებში ისინი რეგიონებში გავლენ და აქტიურ მუშაობას დაიწყებენ.

**"ყველა პარტიული ოფისი 9 აპრილის შტაბად გადაკეთდება, მომავალი კვირიდან იგივე პროცესი რეგიონებში გაგრძელდება და ჩვენ საქართველოს მასშტაბით ათეულობით შტაბი გვექნება, რომლებიც 9 აპრილისთვის ხალხის მობილიზაციის რეჟიმში იმუშავებენ,"** - განუცხადა ჟურნალისტებს კონსერვატორმა კახა კუკავამ.

კუკავას ინფორმაციით, **"უნდა დაიწყოს სადღეღამისო აქციები, რასაც ძალიან ბევრი ორგანიზაციული დეტალი ახლავს. ჩვენ გვჭირდება საზოგადოების მობილიზაცია იმისთვის, რომ ხალხი მომზადებული იყოს აქციის გასაგრძელებლად იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება სააკაშვილის გადადგომისთვის."**

მსგავსი შინაარსის კომენტარი გააკეთა "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენელმა ეკა ბესელიამ. ბესელიას თქმით, აქციის მზადებისას ორგანიზებულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

**"აქციებზე ქაოტურობა რომ არ იყოს, ამისთვის აუცილებელი პირობაა ორგანიზებულობა. ვიმუშავებთ საორგანიზაციო საკითხებზე და იმ ამოცანის შესასრულებლად, რისთვისაც ჩვენ ვიბრძვით, ეს არის სააკაშვილის ხელისუფლებიდან მშვიდობიანი წასვლა, რაც შეიძლება მოკლე დროში,"** - აღნიშნა ეკა ბესელიამ.

აქციის მზადების პროცესში, სხვა პარტიებთან ერთად, მრეწველებიც აქტიურობენ. პარტიის ლიდერ ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, აქციისთვის მრეწველები მოსახლეობის მობილიზებას მოახდენენ როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. ტყემალაძის პროგნოზით, 9 აპრილის აქციაზე ბევრი ხალხი მივა, რადგან მოსახლეობაში საპროტესტო განწყობა მძლავრობს.

**ჩემი აზრით, 9 აპრილს აქციაზე საკმაოდ ბევრი ხალხი მოვა, რამდენადაც მოსახლეობაში განწყობა საკმაოდ რადიკალური და ოპოზიციურია. მთავარია, მხარდამჭერები თავად ოპოზიციურმა პარტიებმა არ დააბნიონ,** - აღნიშნა ზურაბ ტყემალაძემ.

დედაქალაქის მსგავსად, რეგიონებშიც განთავსდება სპეციალური ყუთები, სადაც მოქალაქეებმა პრეზიდენტის გადადგომის მხარდამჭერი ხელმოწერით დადასტურებული ბლანკები უნდა ჩაყარონ.

გავრცელებული ცნობით, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას პირველივე დღეს 25 ათასი მოქალაქე შეუერთდა, რის გამოც უკვე დაბეჭდილი ბლანკების რეზერვი ამოიწურა. სააგენტო ჯი-ეიჩ-ენ -ის ინფორმაციით, ოპოზიციის ლიდერებმა სტამბას ახალი, ბლანკების დიდი პარტიის შეკვეთა მისცეს. როგორც ოპოზიციის ლიდერები ირწმუნებიან, დედაქალაქში გუშინვე საჭირო გახდა ახალი ყუთების დადგმა.

უკვე ამოიწურა ხელისუფლებისთვის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის თაობაზე "ალიანსი საქართველოსთვის" მიერ მიცემული 10-დღიანი ვადა. ალიანსის რეაქცია და მომავლის გეგმები საზოგადოებისთვის დღეს გაცხადდება. ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ "ალიანსი საქართველოსთვის" პლებისციტისთვის მზადებას შეუდგება

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი, "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერი, საფრანგეთში მყოფი ირაკლი ოქრუაშვილი პირველი არხის გადაცემის "პოლიტიკური კვირის" ეთერიდან საქართველოს მოსახლეობას მიმართავს.

# რუსულმა ვერტმფრენებმა ქართული საგუშაგოები დაზვერეს

"პროვოკაციაში არ უნდა ჩავებათ, მაგრამ მოსახლეობა დაცული უნდა იყოს"

დათო გამისონია

*საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გუშინ 11 საათზე, რუსეთის ფედერაციის საფრენმა აპარატებმა, დაზვერვის მიზნით, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოებს გადაუფრინეს. რუსული ვერტმფრენების ანალოგიური ფრენა 4 მარტს ორჯერ დაფიქსირდა. რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთიდან, კერძოდ, გალის რაიონის სოფელ ფიჩორის მხრიდან შემოფრენილმა მი-8 და მი-24 ტიპის ვერტმფრენებმა განმუხურსა და ხურჩაში განლაგებულ ქართული პოლიციის საგუშაგოებს ფოტოები გადაუღეს. გარდა ამისა, რუსმა ოკუპანტებმა ადმინისტრაციულ საზღვართან ჯავშანტრანსპორტიორები განალაგეს.*

რუსული ვერტმფრენების უკანონო მოძრაობის შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაეგზავნა. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი მინაშვილმა რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების დარღვევაში დაადანაშაულა. მისი თქმით, **მიუხედავად იმისა, რომ დათმობებზე იყო რაღაც სიგნალები, რუსეთი ისევ და ისევ რჩება არაკონსტრუქციულ აგრესიულ ძალად. ეს ქმედება ძალიან სიმპტომატურია მაშინ, როცა ბრიუსელში ერთმანეთს ხვდებიან შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. ამასთანავე, ჰილარი კლინტონს შეხვედრა აქვს რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელ სერგეი ლავროვთან. ამ ყველაფრის პარალელურად მოსკოვის ქმედებები ცხადყოფს, რომ რუსეთს არ აინტერესებს საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი,** - აღნიშნა აკაკი მინაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა 24 საათთან რუსეთის მოქმედებების მიზნებზე ისაუბრა. მისი თქმით, რუსეთი საქართველოს პროვოცირებას ან დაშინებას ცდილობს, შესაძლოა - ორივეს ერთად. **რუსეთის განზრახვა პანიკის დათესვა და შემდეგ იმ საქმის დასრულებაა, რაც აგვისტოში ვერ დაამთავრა. ამიტომ, ქართული მხარე არ უნდა დაშინდეს და, მით უმეტეს, პროვოკაციას არ უნდა წამოეგოს. ჩვენ მხარს გვიჭერს საერთაშორისო თანამეგობრობა და ძალიან მტკიცედ უნდა ვიდგეთ. ადრე თუ გვიან რუსული მხრიდან ეს სიგიჟე დასრულდება,** - აღნიშნა დარჩიაშვილმა.

რუსული ვერტმფრენების გადმოფრენამდე რამდენიმე დღით ადრე, სოხუმის მარიონეტული რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ სოხუმის ხელისუფლება სერიოზულად ფიქრობს ენგურის საზღვრის პერიმეტრის გასწორებას, ეს გულისხმობს აფხაზეთის მხარეს, მდინარე ენგურის სანაპიროსთან მდებარე ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი სოფლების ოკუპაციას. ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ თუკი რუსული ვერტმფრენების უკანონო გადაადგილებამ პერმანენტული ხასიათი მიიღო, საქართველომ ინტენსიურად უნდა გააგრძელოს დიპლომატიური სამუშაო, რომელიც დღესაც მიმდინარეობს. გარდა ამისა, ის პროვოკაციების დაძლევისთვის მნიშვნელოვან ფაქტორად მოიაზრებს ადმინისტრაციულ საზღვართან მოძრავ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს. დავით დარჩიაშვილის თქმით, როგორც კი მშვიდობიან მოსახლეობას შეექმნება საფრთხე, ქართულმა სახელმწიფომ ძალიან ბევრი უნდა გააკეთოს თითოეული მოქალაქის დასაცავად. **მართალია, ჩვენ არ უნდა ჩავებათ პროვოკაციაში, მაგრამ მოსახლეობა დაცული უნდა იყოს, ეს არის ოპერატიული ხელოვნებისა და ამ საქმისთვის მოწოდებული სამსახურების კომპეტენცია. დანარჩენს კი საერთაშორისო საზოგადოება ხედავს. ვფიქრობ, რომ რუსეთის დღევანდელ პოზიციას კარგად უპასუხა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმა - ჩვენ არ გვინდა რუსეთის იზოლაცია, მაგრამ ის საკუთარი ნაბიჯებით ექცევა იზოლაციაში. მთავარია, პრინციპულობა და გამძლეობის უნარი შევინარჩუნოთ. საბოლოო ჯამში, აუცილებლად გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენი საქმეა სამართლიანი და არა მათი,** - განუმარტა 24 საათს პარლამენტარმა.

მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლები არ ასრულებენ ჟენევის მოლაპარაკებებზე მიღწეულ შეთანხმებას, რომლის მიხედვით ევროკავშირის დამკვირვებლებს საშუალება უნდა მისცემოდათ, ადგილზე შეესწავლათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომხდარი ინციდენტები. ევროკომისარი საგარეო ურთიერთობათა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ჟენევის მოლაპარაკებების გაგრძელება, სადაც პროგრესზე და ნეგატიურ ინციდენტებზე არის საუბარი. მისი თქმით, **კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე ინციდენტები ყოველთვის მოხდება, მაგრამ მთავარია, რომ ჟენევის მოლაპარაკებებზე მათი თავიდან აცილების და გადაწყვეტის მექანიზმები შეათანხმეს, თუმცა ამ მექანიზმების განხორციელება არ დაწყებულა,** - აღნიშნა ევროკომისარმა.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მჰპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ნატო ორ სკამზე

პირველი გვერდიდან

მრავალსაათიანი დაძაბული განხილვის შემდეგ, ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება რუსეთთან ფორმალური ურთიერთობების აღდგენის შესახებ. ნატო-მ რუსეთთან კონტაქტები გასული წლის სექტემბერში, საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის გამო გაწყვიტა. გუშინდელი გადაწყვეტილებით, რუსეთი-ნატო-ს საბჭოს მუშაობა ალიანსის აპრილის სამიტის შემდეგ განახლდება.

როგორც შემაჯამებელ პრეს-კონფერენციაზე ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა აღიარა, ალიანსის წევრებს შორის რუსეთთან ურთიერთობის საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

**ჩვენ შოკირებულები ვიყავით კონფლიქტით საქართველოში და რუსეთის გადაწყვეტილებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შესახებ,** - განაცხადა სხეფერმა. თუმცა, მისი თქმით, სწორედ ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომების განახლება შექმნის ამ პრობლემების განხილვის შესაძლებლობას.

სხეფერმა შეშფოთება გამოთქვა რუსეთის მიერ საქართველოში სამხედრო ბაზების მშენებლობის გამო. მან, ალიანსის სახელით, რუსეთს საკუთარი ვალდებულებების შესრულება და საქართველოდან ჯარების გაყვანა მოსთხოვა. მან ისიც აღნიშნა, რომ ნატო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს და ამ რეგიონებს საქართველოს ნაწილებად მიიჩნევს.

როგორც საინფორმაციო სააგენტოებისთვის ნატო-ს დიპლომატიური წყაროებიდან გახდა ცნობილი, ნატო-რუსეთის საბჭოს დღის წესრიგი მნიშვნელოვნად შეიზღუდება. თუ აქამდე ალიანსი რუსეთთან 19 საკითხზე მუშაობდა, ამიერიდან თანამშრომლობის მიმართულებები შემოიფარგლება მხოლოდ ავღანეთის, ტერორიზმთან ბრძოლისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებით, რაც ორივე მხარის ინტერესში შედის.

სხდომის შემდეგ, რუსეთთან დიალოგის განახლების აუცილებლობაზე აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმაც ისაუბრა. თუმცა, იმავდროულად, მან რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიმართ აშშ-ს პრინციპულ პოზიციაზე გაამახვილა ყურადღება.

**ჩვენ მხარს ვუჭერთ სუვერენული ქვეყნების გადაწყვეტილებებს, თვითონ განაგონ საკუთარი ბედი. შეერთებული შტატები არ აღიარებს არც ერთი ქვეყნის ინტერესს, თუ ეს ინტერესი სხვის სუვერენიტეტს შელახავს,** - განაცხადა კლინტონმა და აღნიშნა, რომ აშშ ცალსახად უჭერს მხარს უკრაინის და საქართველოს სწრაფვას ნატოსკენ.

ალიანსის მინისტერიალის შემდეგ საქართველო-ნატო-ს კომისიის მეორე სხდომა გაიმართა, რომელშიც ნატო-ს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე მონაწილეობდნენ. სხდომაზე საქართველოში მიმდინარე რეფორმების შესახებ იმსჯელეს.

კომისიის სხდომის შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის პირისპირ შეხვედრა შედგა. როგორც შეხვედრის შემდეგ გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, საუბარი შეეხო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

როგორც ვაშაძემ აღნიშნა, საქართველო ნამდვილად იქნება ერთ-ერთი მთავარი საკითხი ნატო-სა და მისი ცალკეული წევრი ქვეყნების რუსეთთან ურთიერთობებში. **ნატო იწყებს ურთიერთობების დარეგულირებას რუსეთთან, მაგრამ კატეგორიულად მოითხოვს მისგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მშენებლობის შეწყვეტას და საკუთარ თავზე აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას,** - განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

ვაშაძის თქმით, ის, რომ მისი შეხვედრა ჰილარი კლინტონთან და ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის ჩატარება აშშ-ს სახელმწიფო მდივნის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან შეხვედრამდე ერთი დღით ადრე მოხდა, **უბრალო დამთხვევა არ არის. თუ რუსეთს იმედი აქვს, რომ საქართველოს საკითხი დროთა განმავლობაში ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდება, ეს ტყუილი იმედია. რუსეთს მოუწევს ლაპარაკი საქართველოს შესახებ როგორც ნატო-სთან, ასევე ალიანსის ცალკეულ წევრებთან,** - აღნიშნა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

იმის შესახებ, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესია დავიწყებული არ არის, ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომის დაწყებამდე დასავლელი დიპლომატებიც აცხადებდნენ.

**ნატო და რუსეთი დიდ როლს თამაშობენ ევროპული და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში,** - განაცხადა მინისტერიალის დაწყების წინ იაპ დე ჰოოპ სხეფერმა. თუმცა, მან აღნიშნა, რომ **"ოფიციალურ მოსკოვთან ბრიუსელს შეუთანხმებელი საკითხები კვლავ რჩება და ერთ-ერთი მათგანი აგვისტოში საქართველოსთან ომია, რის გამოც შეჩერებული იყო ნატო-რუსეთის საბჭოს ურთიერთობა."**

**თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ჩვენ საერთო ინტერესებიც გაგვაჩნია, მაგალითად, ავღანეთი, ტერორიზმთან ბრძოლა და მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობის საკითხები,"** - განაცხადა სხეფერმა.

**"ჩვენ უნდა განვაგრძოთ კარის გაღება ევროპული ქვეყნებისთვის, როგორებიც არიან საქართველო და უკრაინა და დავეხმაროთ მათ, დააკმაყოფილონ ნატო-ს სტანდარტები,"** - აღნიშნა, თავის მხრივ, ჰილარი კლინტონმა. მისი თქმით, ნატო-ს წევრები აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს არასდროს აღიარებენ.

იმავდროულად, კლინტონმა განაცხადა, რომ რუსეთთან ნატო-ს ურთიერთობებში **მოვიდა დრო ახალი სტარტისთვის. ჩვენ შეგვიძლია, რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგისა და თანამშრომლობის გზები მოვძებნოთ და ეს უნდა გავაკეთოთ. ჩვენ რუსეთთან საერთო ინტერესები გვაქვს, ავღანეთში ხალხის დახმარების ჩათვლით.**

როგორც, თავის მხრივ, ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ აღნიშნა, საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზების განლაგება ალიანსისთვის მიუღებელია. მისი თქმით, ნატო-სთვის მიუღებელია ისიც, რაც რუსეთმა აგვისტოში საქართველოს მიმართ ჩაიდინა.

თუმცა, აპატურაის თქმით, თანამედროვე პოლიტიკაში **"ორ სკამზე ჯდომაა საჭირო"** და ნატო-ს შეუძლია, ერთი მხრივ, რუსეთის პარტნიორი იყოს და, მეორე მხრივ, ამ ქვეყნის ქმედებები გააკრიტიკოს.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დევიდ მილიბენდის განცხადებით, **"საქართველოს კრიზისმა რუსეთთან ურთიერთობები შეცვალა."**

**"რუსეთთან მიმართებაში გაჩნდა კითხვა, როგორ ექცევა ის საკუთარ მეზობლებს. ჩვენ ველარ დავუბრუნდებით სტატუს-კვოს, რადგან უახლესი ისტორია კარგად გვახსოვს. ჩვენ არ გვინდა რუსეთის იზოლაცია, თუმცა ამისკენ ის თავად ისწრაფვის,"** - განაცხადა მილიბენდმა.

# პე-ეს-პე ერთადერთი სააფთიაქო ქსელია პოსტ საბჭოთა სივრცეში, რომელიც ფლობს ხარისხის მართვის საერთაშორისო სერთიფიკატს

ლიკა ჯობაძე







წამყვანი სააფთიაქო ქსელი საქართველოში პე-ეს-პე ხარისხის მართვის გერმანული სერთიფიკატის მფლობელია. ის ერთადერთი სააფთიაქო ქსელია მთელს პოსტ საბჭოთა სივრცეში, რომელსაც ხარისხის მართვის ISO 9001:2000 სერთიფიკატი აქვს.

2008 წლის ოქტომბერში პე-ეს-პემ წარმატებით გაიარა სასერთიფიკატო აუდიტი. TUV-Reinland/Berlin-Branderburg Group-ის ექსპერტები ორი წლის მანძილზე სწავლობდნენ და აკვირდებოდნენ კომპანია პე-ეს-პეს. მათ მიერ ჩატარებული auditis შედეგად დადასტურდა, რომ სააფთიაქო ქსელი ყველა ევროპულ სტანდარტს აკმაყოფილებს.

პე-ეს-პეს სერთიფიკატის გადაცემის ცერემონიალს ხარისხის მართვის გერმანელი ექსპერტ იურგენ ფრეი, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე და თავად კომპანიის ხელმძღვანელობა ესწრებოდა.

კომპანიის გენერალური დირექტორის გოჩა გოგილაშვილის თქმით, სააფთიაქო ქსელი ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად წარმართავაზე 2007 წლიდან მუშაობს. **ხარისხზე ზრუნვა პე-ეს-პესთვის ერთ-ერთი და უმტავრესი პრიორიტეტია. ჩვენი სააფთიაქო ქსელი ერთადერთია საქართველოს, უკრაინის, კავკასიის და რუსეთის ფარმაცევტულ ბაზარზე, რომელიც სააფთიაქო ქსელის ხარისხის მართვის გერმანულ სერთიფიკატს ფლობს. ჩვენთვის ეს სერთიფიკატი პანაცეა და თვითმნიზანი არ არის. ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი ქსელი ნამდვილად შეეასაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ჩვენმა მომხმარებელმა მიიღოს ის პროდუქცია და ისარგებლოს იმ მომსახურებით, რომელიც მთელს ევროპაშია დანერგილი. ჩვენი მთავარი ორიენტირი მომხმარებელია, რომელიც მუდამ კმაყოფილი უნდა იყოს.**

რას ნიშნავს ISO 9001:2000-ის შესრულება?

1. მომხმარებელს მიეწოდება პროდუქცია, რომელიც აუცილებელ სამომხმარებლო მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

2. ხორციელდება პროდუქციის ხარისხის კონტროლი, მომწოდებლის აუდიტი, შენახვის პირობების დაცვა და მუდმივი კონტროლი, რაც მომხმარებლამდე ხარისხიანი და ვარგისი პროდუქციის მიწოდების გარანტია;

3. ბევრად უფრო ეფექტურია ხარისხის მართვის სისტემა, რაც სააფთიაქო ქსელის 24 საათიან რეჟიმში მიშაობას, პროდუქციის ფართო ასორტიმენტსა და მაღალ ხარისხის უზრუნველყოფს. ამ ყველაფერს კი თან ახლავს პე-ეს-პეს მიერ შემუსავებული შიდა სტანდარტები, რომლებიც მომხმარებლისთვის სასიამოვნო და თბილი გარემოს შექმნას გულისხმობს.

გერმანელი ექსპერტი იურგენ ფრეი, რომელმაც პე-ეს პეს სააფთიაქო ქსელს პირადად გადაცა ხარისხსი მართვის სერთიფიკატი, აცხადებს, რომ ქართული სააფთიაქო ქსელი პირველია პოსტ საბჭოთა სივრცეში, რომელმაც საერთაშორისო ხარისხის სტანდარტი მაქსიმალურად დააკმაყოფილა.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ფრუიძის აზრით პე-ეს-პეს სერთიფიცირება საინტერესო და მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ როგორც ფაქტი. **ჩვენს მენტალიტეტში ძირეული ცვლილებები მოხდა, რაც ვფიქრობ ყველაზე მეტად გასათვალისწინებელია. ძალიან კარგი იქნება, თუ პე-ეს-პეს მაგალითს სხვა კომპანიებიც მიბაძავენ და იზრუნებენ ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესებაზე, რაც პირველ რიგში მომხმარებლის ინტერესებზეა ორიენტირებული .-** განაცხადა ნიკოლოზ ფრუიძემ.

# "ბათუმი პლაზა" რამდენიმე თვეში გაიხსნება

სოფო ჩიხლაძე



ქალაქი ქალაქში - ასე იცნობენ საქართველოშიც და უცხოეთშიც კომპანია „ბაგები სითი ჯგუფის" კომპლექსს, რომელიც ბათუმში შენდება. აქ ყველაფერი ერთად არის თავმოყრილი: ორი კინოთეატრი, სამი რესტორანი, კაზინო, მაღაზიები, საცურაო აუზი, სასტუმრო და საცხოვრებელი ბინები. სამი შენობა - 6, 14 და 16-სართულიანი, პატარა ქალაქის 3 ქუჩაზეა გადანაწილებული. მთლიანად კომპლექსის ფართი 45 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. „ბათუმი პლაზას" გახსნა მიმდინარე წელს იგეგმება. საერთო ჯამში პროექტის დასრულებისთვის „ბაგები სითი ჯგუფი" 27 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. ამ მრავალფუნქციური კომპლექსის შესახებ „24 საათი" კომპანია „ბაგები სითი ჯგუფის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ჯუმბერ ხატიაშვილს ესაუბრა.

**- ბატონო ჯუმბერ, როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს სეზონის დაწყებამდე გეგმავთ ბათუმში მშენებარე კომპლექსის - „ბათუმი პლაზას" გახსნას. იქ მიმდინარე სამუშაოები ამჟამად რა სტადიაზეა?**

- ჩვენ უკვე დამამთავრებელ სტადიაში შევედით. „ბათუმი პლაზა" უნიკალური შენობაა, როგორც თავისი არქიტექტურით, ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით. ბათუმში ე.წ. შერეული სქემა განხორციელდა. ყველაფერი საუკეთესო, რაც კი შეიძლება ქალაქში არსებობდეს, ერთი სახურავის ქვეშ არის თავმოყრილი. იქ არის როგორც სავაჭრო, ისე გასართობი, საოფისე, სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსი. ეს იქნება ავტონომიურად მოქმედი ქალაქი ქალაქში. ბათუმში ვაშენებთ ქალაქს, რომელშიც არ წვიმს და ყოველთვის კარგი ამინდია. ექვსსართულიანი კომერციული შენობის თავზე კეთდება ოლიმპიური ზომის საცურაო აუზი, რომელსაც მოძრავი სახურავი აქვს. ის კანადაში დავამზადებინეთ და 3 მილიონი დოლარი დაჯდა. ცოტა ხანში დასრულდება მონტაჟის პროცესი... საცურაო აუზს შენობის თავზე ხშირად აკეთებენ, თუმცა „ბათუმი პლაზა" არის მსოფლიოში ერთადერთი კომპლექსი, სადაც ოლიმპიური ზომების საცურაო აუზი მეექვსე სართულზეა განთავსებული. კომპლექსის გახსნაზე ვაპირებთ, საქართველოში გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლები ჩამოვიყვანოთ, რათა ეს რეკორდი დაფიქსირდეს... რა თქმა უნდა, აგვისტოს მოვლენების შემდეგ, რუსული ოკუპაციისა და მსოფლიო კრიზისის პირობებში მუშაობა რთულია, მაგრამ მაინც ვახერხებთ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკებთან ურთიერთობას. ამ კონკრეტული პროექტის განხორციელებაში დიდი წვლილი ქართუ ბანკს მიუძღვის. მან პროექტის ღირებულების დიდი ნაწილი კრედიტის სახით დააფინანსა. „ბაგები სითი ჯგუფმა", რა თქმა უნდა, საკუთარი სახსრები ჩადო ამ პროექტში, თუმცა აუცილებელი იყო დამატებითი ფინანსები, რაც სწორედ „ქართუ ბანკისგან" მივიღეთ. აქ პროფესიონალების გუნდი მუშაობს, მათ კარგად ესმით საქმე და ისიც იციან, თუ როგორ იმუშაონ კრიზისულ პირობებში. „ქართუ ბანკის" სახით ჩვენ ძალიან კარგი პარტნიორი გვყავს.

**- კონკრეტულად როდისთვის იგეგმება „ბათუმი პლაზას" გახსნა?**

- ვაპირებთ, საზაფხულო სეზონისათვის კომერციული ნაწილი გავხსნათ, ხოლო წლის ბოლომდე მთელი კომპლექსი შევიყვანოთ ექსპლუატაციაში. თუმცა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისთვის პატარა სიურპრიზი გვაქვს მომზადებული.

**- თქვენი კომპანია აცხადებს, რომ „ბათუმი პლაზაში" ადამიანი წელიწადის ყველა დროს შეძლებს დასვენებას...**

- ჩვენი მიზანია, კომპლექსი არა მარტო ზაფხულში, არამედ მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდეს. ამისათვის მნიშვნელოვანია, კომერციული ნაწილი, საცურაო აუზი, რესტორანი, კინოთეატრი, სასტუმრო და საცხოვრებელი ერთმანეთთან ფუნქციონალურად ისე იყოს დაკავშირებული, რომ ზამთარში თუ ზაფხულში, ამინდის მიუხედავად, ადამიანს საშუალება ჰქონდეს, დაისვენოს, გაერთოს ან იმუშაოს. ეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესმოდელია და დარწმუნებული ვარ, რომ ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა დიდ ქალაქებში, იგი ბათუმშიც გაამართლებს.

**- „ბათუმი პლაზა" მთლიანად ქართული ინვესტიციით აშენდა?**

- დიახ. და არა მხოლოდ ინვესტიცია, არქიტექტურა, სამშენებლო კომპანია, ინჟინერინგი მთლიანად ქართულია.

**- როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ერთ-ერთ უცხოურ კომპანიასთან, რომელიც „ბათუმი პლაზას" კომპლექსში კომერციული ფართების დატვირთვის კუთხით იმუშავებს. რომელ კომპანიასთან თანამშრომლობთ ამ მხრივ?**

- ფუნქციონალური ერთიანობა რომ არ დაირღვეს, ასეთ კომპლექსებში, როგორც წესი, კომერციული ფართის მხოლოდ ნაწილი იყიდება, ძირითადად კი ქირავდება. დღეისათვის მთელი კომერციული ფართის 15 პროცენტი, ანუ იმის ნახევარი, რის გასხვისებასაც ვაპირებთ, უკვე გაყიდულია... აქამდე ჩვენი ძირითადი საზრუნავი უშუალოდ მშენებლობის პროცესი იყო, ახლა კი იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ კომპლექსი იდეალურად ფუნქციონირებდეს. „ბათუმი პლაზაში" არის 11 ათასი კვ. მეტრი კომერციული ფართი. მისი სრულად დატვირთვა და სწორი ფუნქციონირება საკმაოდ რთული ამოცანაა. ადგილობრივი კომპანია, რომელსაც ამ მასშტაბის ამოცანის ამოხსნა შეუძლია, სამწუხაროდ, არ არსებობს. ამიტომ ჩვენ დავუკავშირდით უცხოურ, კერძოდ, თურქულ კომპანია fyp-ს, რომლის ოფისიც სტამბულში მდებარეობს. fyp-ი ამ ბაზარზე ერთ-ერთი ცნობილი კომპანიაა და ის დიდი სიამოვნებით ჩაერთო პროცესში. fyp-ი იმუშავებს იმაზე, რომ „ბათუმი პლაზას" სავაჭრო ცენტრში ცნობილი უცხოური ფირმები შემოიყვანოს. ბევრმა უკვე გამოთქვა დაინტერესება. დიდია ინტერესი თურქული კომპანიების მხრიდან.

**- რა ღირს კვადრატული მეტრი კომერციული ფართი „ბათუმი პლაზაში"?**

- კომერციული ფართის ფასი იმის მიხედვით იცვლება, თუ რომელ სართულზე, რომელ ქუჩაზე მდებარეობს იგი. ამ მომენტისთვის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სართულზე გვაქვს დარჩენილი ფართები. ფასს რაც შეეხება, ჩვენ ვითვალისწინებთ იმ მაკროეკონომიკურ გარემოს, რომელშიც მუშაობა გვიწევს და, რა თქმა უნდა, ფასი საშუალოდ თითქმის 20 პროცენტით დავწიეთ. აქ კვადრატული მეტრი კომერციული ფართის ღირებულება 1000 დოლარიდან იწყება და 2500 დოლარამდე მერყეობს. ჩვენ სპეციალური განვადების სქემა შევიმუშავეთ ადგილობრივი მცირე ბიზნესებისთვის... საერთოდ, საზოგადოება ძალიან მგრძნობიარეა უცხოური ინვესტიციების მიმართ. „ბაგები სითი ჯგუფის" პოლიტიკაა, შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ქართულ ბიზნესს. სწორედ ამ მიზეზით ჩვენ ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის განსაკუთრებული განვადების პირობები შევიმუშავეთ. თუ რომელიმე ადგილობრივ კომპანიას „ბათუმი პლაზაში" კომერციული ფართის შესყიდვა სურს, მას შეუძლია, გადახდის 100-თვიანი განვადებით ისარგებლოს. გვინდა, ქართულ კომპანიებს განსაკუთრებული პირობები შევუქმნათ და მიგვაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური თვალსაზრისით. ბიზნესს ყოველთვის თან ახლავს სოციალური პასუხისმგებლობა. ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი მცირე ბიზნესისთვის განსაკუთრებული შეღავათის დაწესება ჩვენი მხრიდან სწორად გადადგმული ნაბიჯია, მით უმეტეს მაშინ, როცა ასეთი მაკროეკონომიკური ვითარებაა მსოფლიოში და საქართველოში. აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი სქემა. ბევრ კომპანიას სურს ბათუმში ჰქონდეს წარმომადგენლობა, რადგან ხშირად უწევთ ამ ქალაქში მიმოსვლა, როგორც პირად, ისე სამსახურებრივ საქმეზე, მათ შორის სტუმრებთან ერთად. ასეთი კომპანიებისთვის „ბათუმი პლაზა" იდეალური გამოსავალია. მათ შეუძლიათ შეიძინონ ბინა და სრულად ისარგებლონ სასტუმროს ტიპის მომსახურებით. ასევე მათ განკარგულებაშია ოფისი, რომელიც შეიძლება იქირაონ. ეს ძალიან ეფექტურია, განსაკუთრებით კომპანიებისთვის საგადასახადო კუთხით... პრაქტიკულად, კორპორაციას შეუძლია ბათუმში ჰქონდეს წარმომადგენლობა, ამავდროულად იყოს საკუთარ ბინაში და თან ისარგებლოს ყველა იმ სერვისით, რომელსაც „ბათუმი პლაზა" სთავაზობს. ვფიქრობ, ეს ბევრ კომპანიას დააინტერესებს.

**- რაც შეეხება საცხოვრებელ ფართს, ბინების დიდი ნაწილი, როგორც ვიცი, იქაც გაყიდულია...**

- დიახ ბინების 60 პროცენტი უკვე გაიყიდა. კვადრატული მეტრის ღირებულება 1200 დოლარიდან იწყება და აქაც, ისევე როგორც ჩვენს სხვა პროექტებში, მომხმარებელს ბინებს დასრულებული სახით ვთავაზობთ. ბინებიდან საოცარი ხედები იშლება, ზღვაზე, პორტზე, მთაზე...

ერთი კვირის წინ ჩვენ საცხოვრებელი ფართის გაყიდვასთან დაკავშირებით რამდენიმე ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი. მინდა გითხრათ, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის აქაც გარკვეული შეღავათები დავაწესეთ... დღეს, როცა ოკუპაციის პირობებში ვართ, როცა მთელს მსოფლიოში ეკონომიკური პრობლემებია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყველამ ერთად ვიფიქროთ, თუ რა და როგორ გაკეთდეს, რომ დავძლიოთ ის სირთულეები, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით. ერთის მხრივ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა დავეხმაროთ ბიზნესს და, საერთოდ, ერთმანეთს. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ ბატონ პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებულ ფონდ „იავნანას" 5 წელი შეუსრულდა. ჩვენი კომპანია ფონდთან დაარსების დღიდან თანამშრომლობს და წელს, იუბილესთან დაკავშირებით ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ „ბათუმი პლაზაში" თითოეული გაქირავებული კვადრატული მეტრიდან ერთი ლარი ფონდ „იავნანას" გადავურიცხოთ.

**- თქვენ არაერთ ინტერვიუში გითქვამთ, რომ 2009 წელი ბინების შესყიდვის თვალსაზრისით მოსახლეობისთვის ყველაზე ხელსაყრელია. რატომ 2009 წელი და არა 2010?**

- ვინც ყიდის, იმისთვის 2009 წელი არ არის საუკეთესო. როგორც აღვნიშნე, „ბათუმი პლაზაში" 20 პროცენტით შევამცირეთ კვადრატული მეტრი ფართის ფასი, მაგრამ მათთვის, ვისაც უძრავი ქონების ყიდვა აქვს განზრახული, 2009 წელი საუკეთესო წელია. ადამიანს შეუძლია, 2009 წელს იმაზე იაფად იყიდოს ბინა ან კომერციული ფართი, ვიდრე შარშან შეიძენდა. მაგრამ არავის შეეშალოს - მომავალ წელს ასე არ იქნება. წლევანდელი წელი ამ მხრივ საუკეთესოა.

**- ისევ „ბათუმი პლაზას" თაობაზე მინდა გკითხოთ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის ელიტარული კომპლექსია, სადაც ყველაფერი ძვირადღირებული იქნება და ყველას არ მიუწვდება ხელი...**

- მინდა დაგარწმუნოთ, რომ ასე არ არის. „ბათუმი პლაზა" მართლაც უნიკალური, მაგრამ არა ელიტარული კომპლექსი გახლავთ. ჩვენ ვცდილობთ, რომ აქ ნებისმიერი შემოსავლის მქონე ადამიანმა იპოვის მისთვის საინტერესო. „ბათუმი პლაზა" არის ყველასთვის, გვინდა, რომ ყველამ შეძლოს, ზამთარ-ზაფხულ ამ არაჩვეულებრივ ქალაქში დაისვენოს და გაერთოს.

**- მსგავსი ტიპის პროექტის განხორციელებას სხვა რეგიონშიც თუ გეგმავთ?**

- არა, ეს პროექტი მხოლოდ ბათუმისთვის არის და დარწმუნებული ვარ, რომ მისი გამეორება სხვაგან სწორი არ იქნება. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ სხვა გეგმებიც გვაქვს აჭარაში... თითქმის მზად არის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში, კერძოდ, კვარიათთან პირველი თანამედროვე იახტ-კლუბის მშენებლობას. პროექტი ორი მიმართულებით არის საინტერესო. აქ იქნება სასტუმრო და იახტების, პატარა ნავების გასაჩერებელი ადგილი. ამავე დროს, ის ჯებირი, რომლითაც ეს ადგილი ზღვიდან იქნება გამოყოფილი, თითქმის ბათუმამდე აუმჯობესებს ნაპირის გამორეცხვასთან დაკავშირებულ პრობლემას. ამის შესახებ სპეციალისტების დასკვნა არსებობს... ჩვენ დღეს საქმეს ჩვეული ტემპით და გულმოდგინებით ვაგრძელებთ.

# სისტემის რეფორმირება არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის

*საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მიზნით ორწლიანი პარტნიორული პროექტი იწყება - "სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმირება არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის საქართველოში". პროექტის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა.*



*რეფორმის მიზანი - საზოგადოებას სრულუფლებიანი წევრად დაუბრუნდეს.*

ღონისძიებას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანი, განათლების მინისტრის მოადგილე ანა ჟვანია, ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში პერ ეკლუნდი, გაერო-ს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში ჯოვანა ბარბარესი და ირლანდიის ელჩი საქართველოში ონო ელდერენბოში ესწრებოდნენ.

**"ჩვენი სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა წარმოადგენს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებას სრულუფლებიანი წევრი დაუბრუნდეს,"** - განაცხადა შეხვედრაზე დიმიტრი შაშკინმა.

საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ პერ ეკლუნდის თქმით, ევროკავშირი მზად არის, მხარი დაუჭიროს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გასატარებელ რეფორმებში.

**ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობაში ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სწორედ ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობის დამყარებაა. პროექტი თავისუფლების აღკვეთისა და პრობაციის ადგილებში დაინერგება. მის ფარგლებში კანონდამრღვევი ბავშვები პროფესიულ უნარჩვევებს დაეუფლებიან, მათთვის სპორტული ღონისძიებები გაიმართება, გაეწევათ იურიდიული და ფსიქო-სოციალური დახმარება,** - აღნიშნა პერ ეკლუნდმა.

გაერო-ს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში ჯოვანა ბარბარესმა კი განაცხადა: **"მიგვაჩნია, რომ თავისუფლების აღკვეთა უკიდურესი ზომა უნდა იყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის. პროექტის შედეგად შესაძლებლობა გვეძლევა, გავაუმჯობესოთ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული მექანიზმები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროსთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკა მივუსადაგოთ საერთაშორისო სტანდარტებს."**

პროექტს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

პროექტი სასჯელაღსრულების სისტემის ავჭალის არასრულწლოვანთა სააღმზრდელო დაწესებულებასა და თბილისის N5 ქალთა და არასრულწლოვანთა კოლონიაში განხორციელდება, რომლის ფარგლებშიც, არსებულ საგანმანათლებლო და სპორტულ პროგრამებში პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებული არასრულწლოვნებიც ჩაებმებიან.

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და პრობაციის სფეროში მომუშავე თანამშრომლების გადამზადება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში შესაბამისი პოლიტიკისა და საკანონმდებლო ცვლილებების გატარება.

**საკუთარი ინფორმაცია**

### ირაკლი ოქრუაშვილს კვლავ დაპატიმრება ემუქრება

ირაკლი ოქრუაშვილს საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, კვლავ დაპატიმრება ემუქრება.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი აცხადებს, ოქრუაშვილის მიმართ ყველა ის ღონისძიება გატარდება, რომელიც ძებნილის მიმართ ხორციელდება.

"ის გამონაკლისი ნამდვილად არ იქნება, მასაც იგივე ბედი ელის, რაც სხვა ძებნილებს", - აცხადებს შოთა უტიაშვილი.

"მოძრაობის ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში დაბრუნებას აპირებს. მისი თანაგუნდელები ოქრუაშვილის ჩამოსვლის კონკრეტულ თარიღს ამ დრომდე არ ახმაურებენ, თუმცა აცხადებენ, რომ ის სამშობლოში პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომამდე დაბრუნდება და ამ საქმეში წამყვან როლს შეასრულებს.

ოქრუაშვილის თანაგუნდელები შინაგან საქმეთა სამინისტროს, ირაკლი ოქრუაშვილისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების შესახებ საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილების წაკითხვას ურჩევენ.

**პირველი**

### საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით შემსუბუქებული სასჯელი

ქართული მართლმსაჯულების ბოლო ინსტანციამ ყაჩაღობისთვის მსჯავრდებულ ზვიად მ.-ს სასჯელი შეუმსუბუქა. ზვიად მ-ს ინტერესებს ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი იოსებ ჯამასპიშვილი იცავდა. არც წინასწარი გამოძიების და არც სასამართლო განხილვის ეტაპზე ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობდა. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა მას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს და 10 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ადვოკატმა იოსებ ჯამასპიშვილმა განაჩენი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. უზენაესმა სასამართლომ თავისი განჩინებით ზვიად მ.-ის ქმედება ძარცვით დააკვალიფიცირა და მსჯავრდებულს სასჯელი 3 წლითა და 9 თვით შეუმცირა.

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს გარდა, იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის რეგიონებსა და თბილისში ფუნქციონირებს.

იურიდიული დახმარების სამსახური, რომელიც მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს, 2009 წლის თებერვლიდან სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში მოქმედებს.

**საკუთარი ინფორმაცია**

### თურქეთიდან ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანისთვის მედდა დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ერთობლივად გატარებული ღონისძიების შედეგად, დაკავებულია თბილისში, გუდამაყრის ქუჩა „ 4-ში მდებარე შპს „ 4 კლინიკური საავადმყოფოს ნეირორეანიმაციის განყოფილების მედდა, 42 წლის რუსუდან ყაულაშვილი.

როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ექვმიტანილის სამუშაო ოთახში ჩატარებული ჩხრეკისას, ამოღებულია 7 წონაკად დაფასოებული, ხოლო საცხოვრებელი ბინიდან 1 წონაკად დაფასოებული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი .

ექვმიტანილის განცხადებით, იგი პერიოდულად დადიოდა თურქეთის რესპუბლიკაში, საიდანაც შემდგომი რეალიზაციის მიზნით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი საქართველოში უკანონოდ შემოჰქონდა. ნარკოტიკულ ნივთიერებას ე.წ ერთ ბაშს იგი იძენდა დაახლოებით 100 ლარად, რასაც შემდგომში 150 ლარად ასაღებდა.

მომხდართან დაკავშირებით, მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის ა ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8-დან

20 წლამდე და უვადო თავისუფლების აღკვეთას.

გამოძიებას აწარმოებს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი.

**მედიანიუსი**

# პროტესტი მიწის ნაკვეთების მასობრივი ჩამორთმევის ფაქტებზე

*საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ხელვაჩაურში, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მასობრივი ჩამორთმევის ფაქტებს აპროტესტებს და აჭარაში მცხოვრები იმ მოქალაქეების უფლებების დაცვისათვის მზადყოფნას გამოთქვამს, რომლებსაც 2007 წელს დარიგებული მიწები ჩამოერთმევათ.*

ამ თემაზე საიას თავმჯდომარემ თამარ ხიდაშელმა და ასოციაციის აჭარის ფილიალის თავმჯდომარემ ნინო ტავლალაშვილმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.

**"2007 წლის 11 მარტს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ", რომელსაც დაინტერესებული პირებისთვის უნდა დაეკანონებინა მათ მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები. როგორც რეალობამ აჩვენა, კანონი ამ შემთხვევაში წინასაარჩევნო მიზნების მიღწევას ემსახურებოდა,"** - განაცხადა პრესკონფერენციაზე თამარ ხიდაშელმა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის განმარტებით, 2008 წლის იანვარის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულმა საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ასეულობით მოქალაქეზე, სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის ან წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების გარეშე, მასობრივად გასცა საკუთრების უფლების მოწმობები. იგივე კომისიამ 2008 წლის 24 ოქტომბრიდან საკუთარი გადაწყვეტილებების გადახედვა დაიწყო, 2009 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით კი, 125 პირს, ძირითადად, ზღვისპირა ზოლში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლება ჩამოართვა.

საია-ს თავმჯდომარის განცხადებით, საკუთრების უფლების ჩამორთმევის ყველა შემთხვევაში კომისიამ ჩათვალა, რომ თავის დროზე მოქალაქეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება "უსაფუძვლოდ განხორციელდა" და შესაბამისად, საკუთრების უფლება კონკრეტულ მიწის ნაკვეთებზე უსაფუძვლოდ იყო აღიარებული.

**"როგორც ჩანს, კომისია მზად არ აღმოჩნდა, რომ ეს პროცესი ობიექტურად ჩაეტარებინა, ან ხელისუფლებას ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ამომრჩეველთა კეთილგანწყობა სჭირდებოდა,"** - ასეთია ასოციაციის აჭარის ფილიალის თავმჯდომარის ნინო ტავლალაშვილის მოსაზრება. მისივე თქმით, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაზარალებული მოქალაქეების სიას საჯაროს გახდის.

**"ჩვენი ორგანიზაციის ბათუმის ფილიალში გამოიკვრება იმ ადამიანების სია, რომელთაც მიწის ნაკვეთები ჩამოერთვათ. ასოციაცია მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ყველა იმ პირს გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაცია, ვინც სასამართლოში მიმართვას დააპირებს. ეს იქნება უფასო სამართლებრივი დახმარება, რადგანაც მიგვაჩნია, რომ დაზარალებულებს გააჩნიათ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლება,"** - განაცხადა ხიდაშელმა.

თამარ ხიდაშელის განმარტებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების ერთთვიანი ვადა არსებობს, რომელიც 24 მარტს იწურება.

**საკუთარი ინფორმაცია**

**განცხადება**

"შეზღუდული პასუხისმგებელობის საზოგადოება **"ალფა ბროკერიჯის"** პარტნიორები აცხადებენ, რომ 2008 წლის 25 თებერვლის შპს "ალფა ბროკერიჯის" პარტნიორთა კრების ოქმ N2009-1-ის საფუძველზე, დაიწყო კომპანიის ლიკვიდაციის პროცესი.

"ალფა ბროკერიჯის" იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჯანაშიას ქ N11.

**საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:**
895 135 135"

## დაკავება ნავთობის ქურდობისათვის

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებისა და საპატრულო პოლიციის მიერ ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: ვალერი აბაკელია, მალხაზ არჯევანიძე, ავთანდილ მატახირია, გიორგი მურუსიძე და ნავთობკომპანია სოკარის დაცვის თანამშრომლები: ზაზა მორჩილაძე და დანიელ სამინავა. სამართალდამცველების ინფორმაციით, ისინი ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის რკინიგზის სადგურში გაჩერებული მატარებლის ცისტერნებიდან, საწვავს იპარავდნენ. შემთხვევის ადგილზე ნანახია მათ მიერ მოპარული ნავთობკომპანია სოკარის დაახლოებით ათ ტონამდე დიზელის საწვავი და 20 ტონამდე საწვავის ავზები. მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 19-117-ე მუხლის მე-4 ნაწილის ა ქვეპუნქტით. გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## სპორტის აკადემიის საქმის განხილვა დღეს განახლდება

საქალაქო სასამართლოში სპორტის აკადემიის საქმის განხილვა დღეს განახლდება.

27 თებერვალს საქმის არსებითი განხილვისას მოსამართლემ რამდენიმე შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ერთ-ერთი შუამდგომლობა წელიწადნახევრის განმავლობაში მთავრობის მიერ სპორტის აკადემიის საკითხის განუხილველობას ეხებოდა, მეორე - სახალხო დამცველის რეკომენდაციას, რომელიც პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს მიეცა. მოსამართლემ ორივე შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

როგორც ცნობილია, სპორტის აკადემიის წარმომადგენლები 2007 წლის 11 ივლისის იმ დადგენილებას აპროტესტებენ, რომლის საფუძველზეც, აკადემია გაუქმდა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა.

**პირველი**

## საურავი, ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში

არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევისას დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში პირს საურავიც დაეკისრება.

ცვლილება "არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" კანონში შედის.

პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა დამრღვევმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში, ხოლო თუ პირი ამ ვადაში არ გადაიხდის ჯარიმას, მას საჯარიმო თანხის ოდენობის საურავი დაეკისრება.

მოქმედი კანონმდებლობა არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევისას ჯარიმის გადაუხდელობის გამო არანაირ საურავს არ ითვალისწინებს.

კ **პირველი**

## სტაჟირების მსურველთა საბუთების მიღება სრულდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში სტაჟირების მსურველთა საბუთების მიღება დღეს დასრულდება. ეს პროცესი 19 თებევლიდან მიმდინარეობს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ უმაღლესი განათლების მქონე პირებს ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს. კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად: ტესტირება, კომპიუტერთან მუშაობა, გასაუბრება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველები საბუთებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში აბარებენ (მის.: წერეთლის გამზირი 67ა).

**მედიანიუსი**

## ინციდენტი მექსიკის ციხეში

მექსიის ჩრდილოეთით არსებულ ციხეში პატიმრებს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ექვსმა სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო.

"ინტერფაქსის" ინფორმაციით, ერთმანეთს სხვადასხვა ბანდფორმირების წევრები ციხის ერთ-ერთ ეზოში დაუპირისპირდნენ. 3-საათიანი არეულობის შედეგად, 18 ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ორი - მოგვიანებით, ჩხუბის დროს მიყენებული ჭრილობების გამო საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ციხეში, რომელშიც ინციდენტი მოხდა, ყველაზე საშიში 2,4 ათასი დამნაშავე იხდის სასჯელს და იგი ყველაზე უსაფრთხო ციხედაა მიჩნეული.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## აფეთქება ინგუშეთში

მილიციის ექვსი თანამშრომელი დაიღუპა და ორი დაიჭრა ინგუშეთში ნაზრანის რაიონის სოფელ შურხახში ფუგასის აფეთქების შედეგად.

"ექვსი დაღუპული სამართალდამცველიდან ერთ-ერთი, წინასწარი ინფორმაციით, ნაზრანის კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილეა," - იუწყება რუსული მედია.

ინგუში სამართალდამცველები ასევე იუწყებიან, რომ დაღუპულთა შესახებ ინფორმაცია ამჟამადაც დგინდება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# რამზან კადიროვის დაქირავებული ქილერის აღიარება

**ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა ნორვეგიაში მცხოვრები ჩეჩნების მკვლელობები დამიკვეთა. ასევე მევალებოდა ნორვეგიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დამყარება მათი დეზინფორმირების მიზნით, რათა მომეხდინა იმ ჩეჩნების დისკრედიტაცია, რომლებიც ნორვეგიაში ცხოვრობენ,** - ეს განცხადება ჩეჩნეთიდან გაქცეულ რუსლან ხალიდოვს ეკუთვნის, რომლის აღიარებითი მონანიების ამსახველი ვიდეომასალა ნორვეგიულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს.



*რუსლან ხალიდოვმა აღიარა, რომ კადიროვი მკლელობებს უკვეთავდა*

ერთ-ერთი ნორვეგიული გამოცემის ინფორმაციით, ჩეჩნეთის პრეზიდენტის მიერ დაქირავებული ქილერი რუსლან ხალიდოვი დაკვეთილი მკვლელობების თაობაზე დეტალურად საუბრობს და აცხადებს, რომ მას ჩეჩნეთის პრეზიდენტის მითითებული არც ერთი დავალება არ შეუსრულებია.

**მემუქრებოდნენ და მაიძულებდნენ, შემესრულებინა ბრძანებები. ამ მუქარას და იძულებას ისეთი ფორმები ჰქონდა, სირცხვილის გამო, ვერც ვიტყვი,** - აცხადებს ჩეჩნეთიდან გაქცეული რუსლან ხალიდოვი, რომლის აღიარებითი ჩანაწერი ინტერნეტ-საიტებზეა გამოქვეყნებული.

რუსლან ხალიდოვი აცხადებს, რომ ის შაი ტურლაევის ნათესავია, რომელიც ჩეჩნეთის ყოფილი პრეზიდენტის ასლან მასხადოვის დაცვის უფროსი იყო. რუსლან ხალიდოვის თქმითვე, მას შემდეგ, რაც ასლან მასხადოვი მოკლეს, შაი ტურლაევი რუსების მხარეს გადავიდა. ხალიდოვის ინფორმაციით, შაი ტურლაევი რამზან კადიროვის აქტიური მხარდამჭერია და მისი ერთგულებით გამოირჩევა.

**მას აქვს საკუთარი ციხე გუდერმესში, სადაც ის გატაცებული ტყვეები ჰყავთ, რომლებმაც რამზან კადიროვის მიმართ ლოიალობა არ გამოიჩინეს. თავად ვარ ნამყოფი კადიროვისა და ტურლაევის ციხეებში, სადაც არა მარტო კაცები იტანჯებიან, არამედ, ქალებიც, რომლებიც იქ პრეზიდენტის მიმართ გამოხატული არასასიამოვნო დამოკიდებულების გამო მოხვდნენ,** - აცხადებს რუსლან ხალიდოვი. მისივე განმარტებით, რამზან კადიროვს ფსბ -მ მიუთითა, შეექმნა ქილერების ჯგუფები, რომლებიც უცხოეთში დაკვეთილ მკვლელობებს განახორციელებდნენ. ქილერების საქმიანობას კი შაი ტურლაევი ხელმძღვანელობს.

**ცოტა ხანში, შაი ტურლაევი, ევროპაში ვიზიტს გეგმავას. ამ ვიზიტისას ის აგენტებს შეხვდება და მათ დავალებებს მისცემს. ვიზიტის დასრულების შემდეგ კი ქილერები მითითებულ მკვლელობებს განახორციელებენ,** - აცხადებს რუსლან ხალიდოვი. მისივე ინფორმაციით, ჩეჩნეთში მოქმედებს ტერორისა და შანტაჟის სისტემა. ასევე, მოქმედებს სპეციალური განყოფილება, რომელიც ეროპაში მცხოვრები ჩეჩნების რეპუტაციის შელახვაზე და მათ ლიკვიდაციაზე ზრუნავს.

**ათასობით ჩეჩენი კადიროვის შავ სიაშია მოხვედრილი. მათ ფიზიკური განადგურება ემუქრებათ,** - აცხადებს რუსლან ხალიდოვი.

ბოლო თვეების განმავლობაში, მხოლოდ თურქეთში სამი დევნილი ჩეჩენი მოკლეს. მკვლელობაში ეჭვმიტანილები ჯერჯერობით არ არსებობენ.

# სასჯელი მოხუცის მკვლელობისთვის

ატლანტაში, ჯორჯიის შტატში, განაჩენი გამოუტანეს სამ ყოფილ პოლიციელს, რომლებმაც ერთ-ერთი ანტინარკოტიკული რეიდის დროს 92 წლის კეტრინ ჯონსტონი მოკლეს.

ჯეისონ სმიტს - 10, გრეგ ჯანერს - 6, ხოლო არტურ ტესლერს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

საქმე ისაა, რომ ანტინარკოტიკული რეიდის განხორციელებისას, პოლიციელებს, რომლებიც კეტრინ ჯონსტონის საცხოვრებელ სახლში შესვლას ცდილობდნენ, მოხუცმა ქალბატონმა კარი არ გაუღო და ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა. პოლიციელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც კეტრინ ჯონსტონი ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც ექსპერტებმა დაადგინეს, პოლიციელებმა მოხუცის მიმართულებით 39 გასროლა განახორციელეს, რის შედეგადაც კეტრინ ჯონსტონმა 5 სასიკვდილო ჭრილობა მიიღო.

როგორც ანტინარკოტიკული რეიდის მონაწილე პოლიციელები ირწმუნებოდნენ, მათ ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კეტრინ ჯონსტონის სახლში ნარკოტიკები ინახებოდა და სახლის გაჩხრეკაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს.

საქმის გამოძიებისას კი გაირკვა, რომ დოკუმენტები, რომლებსაც პოლიციელები ოპერატიულ მასალად ასახლებდნენ და რომელთა საფუძველზეც გადაწყდა კეტრინ ჯონსტონის საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ჩატარება ნარკოტიკების აღმოსაჩენად, ყალბი აღმოჩნდა.

საქმის გამოძიებისას გაირკვა ისიც, რომ ერთ-ერთმა პოლიციელმა, ჯეისონ სმიტმა კეტრინ ჯონსტონის საცხოვრებელ სახლში მარიახუანით სავსე პაკეტები მას შემდეგ შეიტანა და დაყარა, რაც დარწმუნდა, რომ მოხუცი უკვე გარდაცვლილი იყო. ოპერატიული დოკუმენტების შემდგენი, რომლის მიხედვითაც კეტრინ ჯონსტონის სახლში ნარკოტიკები ინახებოდა, პოლიციელი არტურ ტესლერი აღმოჩნდა.

# სასამართლოს განმარტება

*გაზეთ "24 საათის" 5 მარტის ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით "ადვოკატი მოსამართლის აცილებას ითხოვს". სტატიაში ადვოკატის მოსაზრებებზე დაყრდნობით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე ერთ-ერთი პროცესის შესახებ არის მოთხრობილი. ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი ამ საქმეში ბრალდებულ დავით მანაშვილს იცავს, რომელსაც გამოძიება მკვლელობის ჩადენაში სდებს ბრალს.*

*გელა ნიკოლაიშვილის საპასუხოდ უზენაესმა სასამართლომ განმარტება გააკეთა, რომელსაც ქვემოთ სრულად შემოგთავაზებთ.*

რადგან საქმე, ამ ეტაპზე, სასამართლო განხილვის სტადიაშია, ამიტომ სასამართლოს პოზიციის დაფიქსირებისგან თავს შევიკავებთ და მკითხველს მხოლოდ ზოგად კომენტარს შევთავაზებთ.

დავიწყებთ იმით, რომ აღნიშნულ საქმეზე გამოქვეყნებული სტატიებით (და ასეთი არაერთია) ადვოკატი წინასწარ ქმნის საზოგადოებრივ აზრს, რომელიც საბოლოოდ, მოსამართლეზე ზეწოლის სურვილს უფრო ჰგავს, ვიდრე საქმის რეალურად წარმოჩენის მცდელობას. ამასთან, ცალმხრივი ინფორმაციისა და უსაფუძვლო ბრალდებების გარდა, ადვოკატი მკითხველს ახალს არაფერს სთავაზობს.

ადვოკატი, რომელიც, პირველ რიგში, სასამართლო პროცესზე უნდა იცავდეს საკუთარ პოზიციას და შესაბამისად, თავისი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებებს, პრესის მეშვეობით ცდილობს საქმეში ჩაუხედავი მოსახლეობის "ინფორმირებას".

გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუც სწორედ იმ "პიარზეა" გათვლილი, რომელიც საზოგადოების თვალში ადვოკატს სიმართლისთვის მებრძოლ, დაჩაგრულ მხარესთან გააიგივებს, რაც საბოლოოდ, პატივცემულ ვექილს სამართლიანობისთვის მებრძოლის სტატუსს მიანიჭებს.

ადვოკატობა თავისუფალი პროფესიაა და სასამართლოს, რომელიც პროცესზე არბიტრის ფუნქციას ასრულებს, არც უფლება და არც სურვილი აქვს, ადვოკატების პროფესიულ და ეთიკურ მხარეებზე ისაუბროს, მაგრამ როცა დამცველი თავად არღვევს ყოველგვარ ზღვარს და სასამართლოს დისკრედიტაციით ცდილობს საზოგადოების თვალში ქულები ჩაიწეროს, ჩვენც იძულებული ვხვდებით საზოგადოებისთვის კომენტარი გავაკეთოთ.

საქმის შესახებ კამათი და არგუმენტების წამოყენება მხოლოდ სასამართლო პროცესზე რომ უნდა ხდებოდეს, მით უმეტეს, მაშინ როცა საქმეზე გადაწყვეტილება ჯერ გამოტანილი არ არის - ეს ის ელემენტარული სამართლებრივი საკითხია, რომელიც მართალია იურიდიულ ლიტერატურაში მითითებული არ არის, მაგრამ მისი უგულვებელყოფა სამართლებრივი ეთიკის პრინციპებზე უარის თქმას ნიშნავს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი იურიდიული საკითხი, რომელიც საქმის გასაჩივრების სტადიებს ეხება. საზოგადეობისთვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოში საქმეს, სანამ საბოლოოდ დაესმება წერტილი, მხარეს მისი გასაჩივრება კიდევ ორ ინსტანციაში შეუძლია.

ამ "პრაქტიკას" ცივილიზებული და დემოკრატიული ქვეყნის ადვოკატები აღიარებენ და როგორი სკანდალური იმიჯის მქონეც არ უნდა იყოს ადვოკატი, თუ იგი სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, მედიასთან ურთიერთობის დროს მხოლოდ მცირე კომენტარით შემოიფარგლება: "საქმეს ზემდგომ ინსტანციაში გავასაჩივრებთ," - ასეთია უცხოელი ადვოკატების ის ძუნწი ფრაზა, რომელსაც ისინი ჟურნალისტებისთვის იმეტებენ.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ქართული მართლმსაჯულება უკვე პასუხობს დემოკრატიული ქვეყნების სასამართლოებისთვის დამახასიათებენ სტანდარტებს, მაგრამ სასამართლო ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ სიტუაცია გამოსწორდეს. რეფორმის წარმატებისთვის რეალურ ფაქტებზე დამყარებული და ჯანსაღი კრიტიკა აუცილებელიცაა.

ასეთ კრიტიკას სასამართლო ყოველთვის იღებს და ითვალისწინებს, მაგრამ როცა კრიტიკას სხვა მიზანი აქვს და იგი მხოლოდ დისკრედიტაციაზე და ზეწოლაზეა გათვლილი, ვფიქრობთ, საზოგადოება სასამართლოს პოზიციის შესახებაც უნდა იყოს ინფორმირებული .

**უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური**

# არშემდგარი კოალიცია და განახლებული თავდასხმები ღაზაზე

მარიკა იაშვილი



საავიაციო დარტყმა ღაზაზე

AFP ' 2009

რამდენიმეკვირიანი მშვიდობის შემდეგ, რომელმაც ისრაელსა და ღაზას შორის იანვრის ომის შემდეგ დაისადგურა, საჰაერო თავდასხმები კვლავ განახლდა. ებრაელთა მხრიდან მიყენებულ საავიაციო დარტყმებს პალესტინელი სამხედრო მეთაური და დაჯგუფება "ისლამური ჯიჰადის" ორი წევრი ემსხვერპლა.

პირველი იერიში ებრაელებმა პალესტინელ საველე მეთაურ ხალის შაალანზე მიიტანეს, რომელიც თავისივე მანქანაში ააფეთქეს.

ისრაელის მთავრობის ვერსიით, შაალანი პასუხისმგებელი იყო გასულ კვირას, ისრაელის ქალაქ აშკელონის მიმართულებით ცეცხლის გახსნაზე, რომლის დროსაც ერთი რაკეტა სკოლის შენობას მოხვდა.

ისრაელის თავდასხმის შედეგად კიდევ რამდენიმე ადამიანი დაიჭრა, მათ შორის შაალანის მოადგილეც, რომელიც მასთან ერთად მანქანაში იმყოფებოდა.

ისრაელისა და ღაზას საზღვართან მომხდარი კიდევ ერთი ავიარეიდის სამიზნე "ისლამური ჯიჰადის" ორი წევრი აღმოჩნდა. დაბომბვის დროს ოთხი ადამიანი დაიჭრა. ებრაელი სამხედროები ამ თავდასხმის ფაქტს არ ადასტურებენ.

თუმცა "ისლამური ჯიჰადის" წევრები არ დაინტერესებულან, იღებენ თუ არა პასუხისმგებლობას თავის თავზე ებრაელები. სამხედრო დაჯგუფების წარმომადგენლებმა "თავდასხმის გამო შურისძიების" ფიცი დადეს.

ამ ორ ფაქტს წინ კიდევ მთელი რიგი თავდასხმები უძღოდა. მიმდინარე კვირას ისრაელის სამხედრო საჰაერო ძალებმა იერიში ღაზას სექტორის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქალაქ რაფაჰიზე მიიტანეს. ისრაელის შეიარაღებულ ძალებში განაცხადეს, რომ ეს დარტყმები კონტრაბანდული გვირაბების განადგურებისკენ იყო მიმართული.

ღაზას საზღვრის ქვეშ გამავალი გვირაბების მეშვეობით პალესტინელებს ეგვიპტიდან იარაღი შეაქვთ. მისი განადგურება, ებრაელების გარდა, აუცილებლად მიაჩნია როგორც ეგვიპტის მთავრობას, ასევე პალესტინის ავტონომიის ლეგიტიმურ ხელისუფლებასაც.

დაჭრილთა ან გადაცვლილთა შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. დაბომბვას წინ უსწრებდა ღაზას მხრიდან სამხრეთ ისრაელის მიმართულებით ორი რაკეტის გაშვება.

ღაზაში ვიზიტით ჩავიდა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანა, რომელმაც ებრაელთა მიერ დაბომბილი ადგილები მოინახულა. **"როდესაც ვუყურებთ მომხდარს - ამ დაზიანებებსა და ნგრევას, ვხვდებით, რომ მათ აღსადგენად დიდი დროა საჭირო, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი რაც შეიძლება მალე დავიწყოთ."**

ამავდროულად ევროკომისიაში აცხადებენ, რომ მზად არიან, თითქმის განადგურებული სექტორის რეაბილიტაციისთვის 436 მილიონი ევრო გამოყონ.

თანხის გამოყოფის საკითხი მომავალ კვირას შარმ ალ-შეიხში, დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე განიხილება. ფონდებიდან თანხა გამოიყოფა პალესტინის ავტონომიის დევნილთა და რეფორმების პროგრამის მხარდასაჭერადაც. **"დღეს ჩვენი პრიორიტეტია ის, რომ შესაბამისი პასუხი გავცეთ ღაზას სექტორში არსებულ დამღუპველ ჰუმანიტარულ მდგომარეობას,"** - განაცხადა ევროკომისიის საგარეო საქმეთა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ბენიტა ფერერო-ვალდნერმა.

ისრაელს პალესტინელებისთვის პასუხის გაცემა საკმაოდ დაძაბული შიდა პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე უხდება. ქვეყანაში აქტიურად, თუმცა უშედეგოდ მიმდინარეობს მოლაპარაკებები პოლიტიკური კოალიციის შექმნაზე, რომელმაც სამთავრობო და ოპოზიციური პარტიები უნდა გააერთიანოს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ აცხადებს, რომ ცენტრისტულ პარტია "კადიმასთან" მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. ეს ფაქტი "კადიმას" ლიდერმა ლივნიმაც დაადასტურა, რომელმაც განაცხადა, რომ მოლაპარაკებები "საკვანძო საკითხებში შეთანხმების გარეშე" დასრულდა. ნეთანიაჰუ ოპოზიციასთან მოლაპარაკებებს პრეზიდენტ შიმონ პერესის მიერ მიცემული დავალების გამო აწარმოებს - პრეზიდენტმა პრემიერს 3 აპრილამდე ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება დაავალა.

მომავალშიც გაგრძელდება თუ არა მოლაპარაკებები, ჯერ გაურკვეველია. თუმცა ციპი ლივნი აცხადებს, რომ "კადიმა" "პასუხისმგებლობის გრძნობის" მქონე ოპოზიციური პარტიაა.

**"მე ყველაფერი გავაკეთე, რათა ერთიანობისთვის მიმეღწია, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ქალბატონი ლივნის მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობებს გადავაწყდი,"** - განაცხადა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ოპონენტთან თელ-ავივში შეხვედრის შემდეგ.

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ნეთანიაჰუს ყოვლისმომცველი კოალიციის შექმნა სურს, რომელშიც "კადიმა" და მემარცხენე ცენტრისტული ლეიბორისტული პარტიაც შევლენ. ერთი-ერთი მთავარი საკითხი, რაშიც ნეთანიაჰუ და ლივნი ვერ თანხმდებიან, დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში პალესტინური სახელმწიფოს ფორმირებაა, რასაც ლივნი მხარს უჭერს, ხოლო ნეთანიაჰუ კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ბოლო პერიოდში მომხდარი თავდასხმები პოლიტიკური კოალიციის შექმნას, სავარაუდოდ, კიდევ ბევრ და რთულ ბარიერს შეუქმნის.

# აშშ-ს აგენტი - სერბეთის დაზვერვის ყოფილი შეფი

მარიკა იაშვილი

ივონიცა სტანიჩიში, რომელიც პრეზიდენტ მილოშევიჩის დროს სერბეთის დაზვერვას ხელმძღვანელობდა და ახლა რამდენიმე სამხედრო დანაშაულში ედება ბრალი, მრავალი წლის მანძილზე ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოზე (სი-აი-ეი) მუშაობდა, ამტკიცებს საერთაშორისო პრესა. ჟურნალისტთა ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ სტანიშიჩმა თავად აღიარა ამერიკულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა, რათა მათ ის ჰააგის ტრიბუნალისგან დაეცვათ.

ინფორმაცია სტანიშიჩის ღალატზე პირველად გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამ "ლოს ანჯელეს თაიმსმა" გაავრცელა. ამერიკელი კოლეგების მოსაზრებას იზიარებენ "როსიისკაია გაზეტაშიც," სადაც სტატიაში მოხსენიებული არგუმენტები დამაჯერებლად მიაჩნიათ იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაცია გაზეთს სი-აი- ეი -ს ოფიცერმა უილიამ ლოფგრენმა მიაწოდა, რომელმაც 1992 წელს სტანიშიჩი თავად გადაიბირა.

რამდენიმე წლის განმავლობაში სერბეთის მთავარი მზვერავი სი-აი-ეი -ს საიდუმლო ინფორმაციებს აწვდიდა და განუმარტავდა, თუ პირველ რიგში რა უნდა დაიბომბოს ნატო-ს ავიაციის მიერ. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ სტანიშიჩი ქველმოქმედი ჯაშუში იყო, ის თავისი სამსახურისთვის ამერიკელებისგან ფულს არასდროს იღებდა.

საიდუმლო შეხვედრების ფარგლებში, რომლებიც კონსპირაციულ ბინებსა და ადგილებში ხდებოდა, სტანიშიჩი და ლოფგრენი მილოშევიჩის რეჟიმის მოქმედებების დეტალებს განიხილავდნენ. სერბეთის დაზვერვის ხელმძღვანელი სი-აი-ეი -ს უზრუნველყოფდა ინფორმაციით ნატო-სთვის შესაძლო სამიზნეების მდებარეობის შესახებ და სპეცსამსახურების წარმომადგენლებს ბოსნიაში საიდუმლო ბაზებისთვის შესაფერისი ადგილის მოძებნაში ეხმარებოდა.

ამ ფაქტებზე დაყრდნობით არ არის გამორიცხული, რომ სამუდამო პატიმრობის პერსპექტივით დაშინებულმა სტანიშიჩმა ამერიკელებთან თანამშრომლობა თავადვე აღიარა. შესაძლოა მისი მოქმედებები საიდუმლოდვე დარჩენილიყო, რომ არა ჰააგის ტრიბუნალი, რომელმაც მას მთელ რიგ სამხედრო დანაშაულებებში დასდო ბრალი.

კონკრეტულად კი, სერბეთის დაზვერვის ექს-ხელმძღვანელს 1992-1995 წლებში მუსლიმების მასობრივ მკვლელობაში ედება ბრალი.

როგორც ერთ-ერთი სერბული გამოცემა იუწყება, სტანიშიჩმა თავისი აღიარების სანაცვლოდ ამერიკული სპეცსამსახურისგან დახმარება მიიღო. კონკრეტულად კი, სი-აი-ეი -ს ხელმძღვანელობამ ჰააგის სამხედრო სასამართლოს საიდუმლო დოკუმენტაცია წარუდგინა, რომელშიც მითითებულია, რომ სტანიშიჩმა ბალკანეთში ამერიკელთა ინტერესების დაცვასა და ბოსნიაში მშვიდობის არდგენაში დიდი როლი ითამაშა.

სტანიშიჩის კარიერა 1998 წელს დასრულდა, როდესაც მილოშევიჩმა ის შეთქმულების ორგანიზებაში დაადანაშაულა და თანამდებობა დაატოვებინა. ამასთან ერთად, სერბეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი გორან პეტროვიჩი ამტკიცებს, რომ სტანიშიჩი მილოშევიჩის გვერდის ავლით არაფერს აკეთებდა და ამიტომ გამოქვეყნებული მასალები ნამდვილი ვერ იქნება.

თავად სტანიშიჩს პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებზე კომენტარი არ გაუკეთებია. ოფიციალური ვერსიის თანახმად, მისი დუმილი ჯანმრთელობის მდგომარეობით არის გამოწვეული, გასულ წელს ტრიბუნალმა ავადმყოფობის გამო სერბეთის დაზვერვის ყოფილი უფროსი დაცვის ქვეშ რამდენიმე თვით გაათავისუფლა კიდეც.

## ნელსონ მანდელას შვილიშვილი პოლიტიკურ კარიერას იწყებს

"იტარ-ტასის" ცნობით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტის, აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლ ნელსონ მანდელას შვილიშვილი ბაბუის კვალს გაჰყვა და პოლიტიკური კარიერის გაკეთებას შეუდგა. ოფიციალური ცნობებით დასტურდება, რომ მანდლა მანდელა საერთოეროვნულ არჩევნებში, რომელიც მიმდინარე წლის 22 აპრილს არის დაგეგმილი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველი პარტია "აფრიკული ნაციონალური კონგრესის" სიით იყრის კენჭს და სადეპუტატო მანდატის მოპოვებას შეეცდება. დღემდე მანდლა მანდელა ბიზნესმენის ამპლუით იყო ცნობილი. იგი "აფრიკული ნა იონალური კონგრესის" ლიდერსა და მომავალში სამხრეთ აფრიკის სავარაუდო პრეზიდენტ ჯეიკობ ზუმასთან დაახლოებული პირია. ქვეყნის კანონით, საერთოეროვნულ არჩევნებში პარლამენტის წევრებს ირჩევენ, რომლებიც პირველივე სხდომაზე პრეზიდენტის კანდიდატურას უყრიან კენჭს.

**ნიუსრუ**

## ბიშკეკის აეროპორტში "მანასის" ავიაბაზა მუშაობას ჩვეულებრივ რეჟიმში განაგრძობს

როგორც "ინტერფაქსს" ავიაბაზის პრესსამსახურში განუმარტეს, "მანასის" ანტიტერორისტული კოალიციის ძალები, რომლებიც ყირგიზეთის დედაქალაქის აეროპორტში არიან განთავსებულნი, მუშაობას ჩვეული რეჟიმით აგრძელებენ. "ბაზა ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირებს. ამერიკის შეერთებულ შტატებთან 19 თებერვლის შეთანხმების დენონსაციის შემდეგ არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა," - განაცხადა "მანასის" პრესსამსახურის წარმომადგენელმა. ყირგიზეთის პრეზიდენტი კურმანბეკ ბაკიევი შეერთებულ შტატებთან ავიაბაზის გამოყენების გაგრძელებაზე მოლაპარაკებების გამართვას არ გამორიცხავს. "კარი არ არის დახურული და ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ ყველა ის შესაძლო ვარიანტი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები წარმოგვიდგენს. ჩვენ მოლაპარაკებებისათვის მზად ვართ," - განაცხადა ყირგიზეთის პრეზიდენტმა "ბი-ბი-სი -სთვის მიცემულ ინტერვიუში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ინგუშეთში აფეთქების შედეგად ექვსი მილიციელი დაიღუპა

ინგუშეთში, ნაზრანის რაიონის სოფელ შურხახში ფუგასის აფეთქების შედეგად მილიციის ექვსი თანამშრომელი დაიღუპა, ხოლო ორი გამნაღმველი და ერთი გამომძიებელი დაიჭრა. დაჭრილები ნაზრანის საავადმყოფოში არიან გადაყვანილნი. "ექვსი დაღუპული სამართალდამცავიდან ერთ-ერთი, წინასწარი ინფორმაციით, ნაზრანის კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილეა," - იუწყება რუსული მედია. ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, ჯგუფი ნაზრანი-სურხახის გზაზე ფუგასური ნაღმის გაუვნებელყოფას ცდილობდა. "როგორც ჩანს, იმ დროს კიდევ ერთი ფარული ფუგასური ნაღმი აფეთქდა," - აცხადებენ სამინისტროს წარმომადგენლები. ინგუში სამართალდამცავები ასევე იუწყებიან, რომ დაღუპულთა შესახებ ინფორმაცია ამჟამადაც დგინდება, შემთხვევის ადგილზე კი ოპერატიული სამძებრო ჯგუფი მუშაობს.

**ინტერფაქსი**

**გარდაიცვალა**
**ანზორ დომენტის ძე ბახია**
**პანაშვიდი - 6 და 7 მარტს,**
17:00-19:00 საათამდე
**მისამართი:** ქ. რუსთავი, ვაჟა-ფშაველას I გასასვლელი, I კორპუსი, ბინა N 30
**გამოსვენება -** წმ. ბარბარეს სახ. ეკლესიიდან, 15:00 საათზე
**მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. "მოდულის" შენობის უკან.

## მექსიკის ციხეში მსჯავრდებულებს შორის მომხდარ ჩხუბს 20 პატიმრის სიცოცხლე შეეწირა

საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსის" მიერ გავრცელებული ცნობებით, მექსიკის ჩრდილოეთით მდებარე ციხეში პატიმრებს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ექვსმა სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო. ერთმანეთს 3 სხვადასხვა ბანდფორმირების წევრები ციხის ერთ-ერთ ეზოში დაუპირისპირდნენ. 3-საათიანი არეულობის შედეგად 18 ადამიანი ადგილზე დაიღუპა, ხოლო ორი კი მოგვიანებით, ჩხუბის დროს მიყენებული ჭრილობებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა. ციხეში, სადაც ინციდენტი მოხდა, ჩიაუას შტატის ყველაზე საშიში, 2,4 ათასი დამნაშავე იხდის სასჯელს. ამავდროულად იგი შტატში ყველაზე უსაფრთხო ციხედაა მიჩნეული.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსეთ-ნატო-ს კავშირის აღდგენას როგოზინი ნატო-ს მხრიდან ბოდიშის მოხდად აფასებს

რუსეთ-ნატო-ს შორის ოფიციალური ურთიერთობების აღდგენის შესახებ დაკავშირებით ნატოში რუსეთის წარმომადგენელი დიმიტრი როგოზინი აცხადებს, რომ ალიანსის ეს ნაბიჯი, შესაძლოა, რუსეთის მიმართ ერთგვარ ბოდიშადაც იქნეს აღქმული. "ჩვენთვის ბოდიშის თქმას იმის გამო, რაც მოხდა, რა თქმა უნდა, არავინ აპირებს და ამას არც ველი. მეორე მხრივ, მათ თავის თავზე აიღეს ვალდებულება და მოუწოდეს რუსეთს, თანამშრომლობა სრული ფორმატით აღგვედგინა. ეს, შესაძლოა, მათი მხრიდან ერთდგვარ ბოდიშადაც მივიჩნიოთ," - აცხადებს დიმიტრი როგოზინი. მისი აზრით, ალიანსში უკვე მიხვდნენ, რომ რუსეთის გარეშე ისინი ამა თუ იმ პრობლებას ატლანტიკურ რეგიონში ვერ გადაჭრიან და ვერც სამხედრო ოპერაციებს ჩაატარებენ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციისგან ნატო-ს სამდივნოში გამუდმებით შედიოდა მოთხოვნა რუსეთ-ნატო-ს სხდომის ჩატარების შესახებ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს საბრძოლო მოქმედებებს მიეძღვნებოდა. რუსული მხარე დაჟინებით ითხოვს ამგვარ განხილვაში რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მაღალჩინოსნის მონაწილეობას. ამის გამო ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა, რომ როგორც კი რუსეთ-ნატო-ს საბჭოს აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება, ეს საკითხი დღის წესრიგში შევა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## აშშ-ს სახელმწიფო მდივანი პალესტინის ლიდერებს იორდანის დასავლეთ სანაპიროზე შეხვდა

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი პალესტინის ლიდერებს მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე შეხვდა. "პალესტინის სახელმწიფოს შექმნა გარდაუვალი ეტაპია, ასეთი გადაწყვეტილება ისრაელის ინტერესებსაც უნდა პასუხობდეს," - აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა. რამალას შეხვედრაში დაგეგმილია პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელ მაჰმუდ აბასისა და პრემიერ-მინისტრ სალამ ფაიადის დასწრებაც. მოსალოდნელია, რომ ამ შეხვედრაზე პალესტინის ადმინისტრაცია მოუწოდებს აშშ-ს, გაამკაცროს პოზიცია დასავლეთ სანაპიროზე ისრაელის დასახლების გაფართოების გამო. თელ-ავივში ყოფნისას კლინტონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა პალესტინის სახელმწიფოს შექმნის იდეის მხარდაჭერა. ამავე დროს დამკვირვებლები აცხადებენ, რომ პალესტინის ავტონომიაში, სადაც ხელისუფლება ორ მტრულ დაჯგუფებადაა ("ფათჰი" და "ჰამასი") გაყოფილი, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს სჯერა ცალკე სახელმწიფო შექმნის.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## პუტინი ევროპას ახალი "გაზის ომით" ემუქრება

რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის განცხადებით, თუ უკრაინა 7 მარტამდე ბუნებრივი აირის დავალიანებას არ გადაიხდის, რუსეთი კიევს გაზის მიწოდებას შეუწყვეტს და ეს "შესაძლოა, ევროპელ მომხმარებელსაც შეეხოს". მისივე თქმით, "რუსეთის ხელისუფლება "ნავტოგაზის" ირგვლივ შექმნილი სიტუაციით შეშფოთებულია". უკრაინის სახელმწიფო კომპანია "ნავტოგაზისგან" რუსული "გაზპრომი" თებერვალში მოხმარებული გაზის სანაცვლოდ 400 მილიონ აშშ დოლარს ითხოვს. ცნობისთვის, 4 მარტს "ნავტოგაზის" ოფისში უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები ჩხრეკვის მიზნით შევიდნენ. მთელი დღის განმავლობაში ისინი 6,3 მლრდ კუბამეტრი გაზის დატაცების შესახებ საგამოძიებო ღონისძიებებს ატარებდნენ.

**საკუთარი ინფორმაცია**

# ჩარლზ ფრიმენის სახიფათო კავშირები

ხათუნა ბაბიევი

შეერთებული შტატების დაზვერვის ნაციონალური საბჭოს ახალი ხელმძღვანელი ჩარლზ ფრიმენ უმცროსი უცხოურ ფირმებსა და მთავრობებთან არასასურველ ფინანსურ კავშირებშია ეჭვმიტანილი. ჩარლზ ფრიმენმა დაზვერვის ნაციონალური საბჭოს ხელმძღვანელის თანამდებობა გასულ კვირას დაიკავა. გავლენიანი "ვაშინგტონ ტაიმსის" თანახმად, ზოგიერთი კონგრესმენი შიშობს, რომ ფრიმენი მონდომებით იმოქმედებს და ამიტომ საჭიროა საზღვარგარეთ მისი კონტაქტების გადამოწმება.

დაზვერვის ნაციონალური საბჭო მსოფლიოში არსებული მდგომარეობის შესახებ აქვეყნებს ანგარიშებს, რომლებიც შეერთებული შტატების 16 სადაზვერვო სამსახურის დასკვნებს ემყარება. უწყების ხელმძღვანელს კი ხელი მიუწვდება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საიდუმლოებებზე, სწორედ ამიტომ კრიტიკოსები ფრიმენის დანიშვნას ნაჩქარევ გადაწყვეტილებად მიიჩნევენ. უპირველეს ყოვლისა, მას არ წარმოუდგენია თავისი შემოსავლების შესახებ აუცილებელი ანგარიში და მეორე, მისი კანდიდატურა ნაციონალური დაზვერვის ხელმძღვანელ დენის ბლერს თეთრ სახლთან არ შეუთანხმებია.

გარდა ამისა, ჩარლზ ფრიმენის კანდიდატურის მოწინააღმდეგეებს ის ფაქტიც აფიქრიანებთ, რომ იგი CNOOC-ის შელფში ნავთობის მოპოვების ჩინეთის ნაციონალური კორპორაციის საკონსულტაციო საბჭოს წევრია, რომლის ერთ-ერთი თანამფლობელიც ოფიციალური პეკინია. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ კომპანიას სუდანსა და ირანში აქვს ინვესტიციები.

ამასთან, ფრიმენი ახლოაღმოსავლური პოლიტიკის საკითხებში საქველმოქმედო საბჭოს (MEPC) პრეზიდენტია. ამ ორგანიზაციამ საუდის არაბეთიდან მილიონ აშშ დოლარზე არანაკლები თანხა მიიღო. ჩარლზ ფრიმენი ხელმძღვანელობს ასევე საკონსულტაციო ფირმა "Projects International"-ს, რომელიც რიგ უცხოურ კომპანიებთან და საზღვარგარეთის მთავრობებთან თანამშრომლობს.

რესპუბლიკელ პიტერ ჰექსტრას აზრით, რომელიც წარმომადგენელთა პალატაში დაზვერვის კომიტეტის წევრია, უცხოეთში ასეთი კონტაქტების გამო ფრიმენს არა აქვს სადაზვერვო სამსახურებში მაღალი თანამდებობის დაკავების უფლება.

დაზვერვის ნაციონალური საბჭოს სამმა ყოფილმა ხელმძღვანელმა "ვაშინგტონ ტაიმსთან" საუბარში აღნიშნეს, რომ ვიდრე ფრიმენი საქმიანობას შეუდგება, უცხოურ კომპანიებსა და მთავრობებთან მისი კავშირების დეტალურად შემოწმებაა საჭირო.

**"საქმე მხოლოდ ფრიმენს კი არა, მთელი ადმინისტრაციის საკადრო პოლიტიკას შეეხება,"** - აცხადებს ფრიც ერმარტი, რომელიც ნაციონალური დაზვერვის საბჭოს 1988-1993 წლებში ხელმძღვანელობდა.

თუმცა, ანალიტიკოსები იმასაც აღიარებენ, რომ მხოლოდ უცხოურ ბიზნესთან კავშირი არ არის საკმარისი, რათა ადამიანი დაზვერვაში მუშაობისთვის გამოუსადეგარი გახდეს. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია ფრიმების შეხედულებებისა და ზოგადად მისი მოქმედების შეფასება.

დიპლომატიურ სამსახურში ვეტერან პერსონად აღიარებულ ჩარლზ ფრიმენს წარსულში საუდის არაბეთში ელჩის თანამდებობა ეკავა, მუშაობდა ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, იგი გამორჩეულია იმითაც, რომ სხვა ამერიკელ დიპლომატებთან შედარებით გაცილებით უკეთ ფლობს ჩინურ ენას. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის სინოლოგ დევიდ ლემპტონის აზრით, დაზვერვას ძალიან გაუმართლა "ასეთი კალიბრის ადამიანის აღმოჩენით".

**"იგი ძალიან გონიერია და უზარმაზარი გამოცდილება აქვს ყველაფერში, რაც კი ჩინეთს შეეხება,"** - აღნიშნავს სინოლოგიის ექსპერტი ჰოპკინსის უნივერსიტეტიდან.

# ირანი თავს რაკეტებით დაიცავს

მარიკა იაშვილი

**"ირანს შეუძლია ისრაელის ბირთვული ობიექტები თავისი შორეული მოქმედების რაკეტებით გაანადგუროს,"** - ასეთ განცხადებას ისლამისტური რევოლუციის დაცვის ელიტური კორპუსის მეთაური ალი ჯაფარი აკეთებს.

**"დღეს ირანში სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია რაკეტები, რომელთა მოქმედების მანძილი 2 000 კილომეტრს აღემატება. ასე რომ, ისრაელის მთელი ტერიტორია და მათ შორის ბირთვული ობიექტებიც, მათი მოქმედების არეალში ჯდება,"** - განუცხადა ჯაფარიმ ჟურნალისტებს.

ამასთანავე მან აღნიშნა, რომ ისლამური რესპუბლიკის სამხედრო დოქტრინას თავდაცვითი ხასიათი აქვს, თუმცა საგარეო აგრესიის შემთხვევაში, მათ შორის ისრაელის მხიდანაც, **"მზად არიან მოწინააღმდეგის ნებისმიერი თავდასხმა რაკეტებით მოიგერიონ."**

**"ირანის ბრძოლისუნარიანობა იმდენად მაღალი დონისაა, რომ აშშ და ისრაელი ჩვენ ქვეყანაზე თავდასხმას ვერ შეძლებენ,"** - ხაზგასმით აცხადებს ჯაფარი.



*ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ ახმადინეჯადის მთავრობა შესაძლო თავდასხმის მოგერიებისთვის მზადაა*

ჯაფარის გამოსვლებამდე ცოტა უფრო ადრე, განცხადებები გააკეთა ირანის უშიშროების მინისტრმა გოლამ-ჰოსეინ მოჰსენი ეჟეიმ. მისი თქმით, თეირანი თელ-ავივის მუდმივ მუქარებს იმის თაობაზე, რომ ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი სამხედრო გზით გადაწყდება, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. **"ისრაელი ძალიან პატარაა იმისთვის, რომ ირანს დაემუქროს,"** - მიაჩნია ეჟეის.

ირანის არმიის შეიარაღებაში სხვადასხვა მოდიფიკაციისა და მოქმედების მანძილის მქონე რაკეტები შედის. 2008 წლის ივლისში, ირანელმა სამხედროებმა მოდერნიზებული ბალისტიკური რაკეტები "შეჰაბ-3" გამოსცადეს, რომლებსაც სამიზნის განადგურება 2 000 კილომეტრის რადიუსშიც შეუძლიათ.

# რევიუ



*რამ შეიძლება გააკვირვოს თანამედროვე ადამიანი? ალბათ მხოლოდ რობოტმა, რომელიც მასავით აზროვნებს, იქცევა, მოძრაობს და გრძნობს კიდეც. BERTI სწორედ ასეთია - გარეგნულად ნამდვილი რობოტია, თუმცა მისი თვითოეული სენსორი ადამიანის მსგავსი აზროვნებისთვისაა მორგებული. BERTI ლონდონის სამეცნიერო ინსტიტუტში შექმნეს, მის მაგალითზე კი მეცნიერები იმის გარკვევას შეძლებენ, თუ რა როლის დაკავება შეუძლიათ რობოტებს ჩვენს ცხოვრებაში.*

## ტრანსცედენტური მედიტაცია ბავშვებისთვის

### ექს-ბითლები საქველმოქმედო კონცერტში მიიღებენ მონაწილეობას

ლეგენდარული ჯგუფის Beatles-ის წევრები პოლ მაკარტნი და რინგო სტარი 4 აპრილს ნიუ იორკში საქველმოქმედო კონცერტში მიიღებენ მონაწილეობას. მაკარტნი საღამოს ერთ-ერთი ვარსკვლავი იქნება, რომელიც კინორეჟისორ დევიდ ლინჩის ფონდის ორგანიზებით გაიმართება. David Lynch Foundation-ის თანამშრომლებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ მაკარტნი და სტარი სცენაზე ნამდვილად ერთად გამოჩნდებიან. მიუხედავად ამისა, თავად მუსიკოსების წარმომადგენლები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. მაკარტნის პრეს-მდივანმა განაცხადა, რომ რინგო სტართან კონცერტზე ერთობლივი გამოსვლის საკითხი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია, ხოლო სტარის წარმომადგენლის თქმით, Beatles-ის ყოფილი მონაწილე, საქველმოქმედო კონცერტზე რამდენიმე სოლო კომპოზიციას შეასრულებს. ნიუ-იორკში გასამართ კონცერტში, მაკარტნისა და სტარის გარდა, შერი კროუ და მობი მიიღებენ მონაწილეობას. საქველმოქმედო საღამოს მიზანი ფონდ - David Lynch Foundation-ის პროგრამისთვის საგანმანათლებლო სახსრების მოძიება და შეგროვებაა, რომელიც პროპაგანდას უწევს მოზარდების ტრანსცედენტური მედიტაციის (TM) შესწავლას. ფონდის დამფუძნებელი ცნობილი კინორეჟისორი დევიდ ლინჩია, რომელიც აღნიშნულ მედიტაციას საკმაოდ აქტიურად უწევს პროპაგანდას და თავად კინემატოგრაფის თქმით ეს მას სიცოცხლის გახანგრძლივებაში ეხმარება. წინასაკონცერტო განცხადებაში თავის ცხოვრებაში მედიტაციის როლის შესახებ პოლ მაკარტნიმაც ისაუბრა და გამოტყდა, რომ მედიტაციას პრაქტიკაში იგი უკვე 40 წელია იყენებს. "სრული სიგიჟის სტადიაზე მედიატაცია მე ცოტაოდენი სიმშვიდის მოპოვებაში მეხმარება", - ნათქვამია მუსიკოსის განცხადებაში. პოლ მაკარტნიმ მილიონობით ბავშვის მედიტაციის შესწავლის იდეასაც დაუჭირა მხარი და აღნიშნა, რომ " შესაძლოა ამან არც ისე წყნარ სამყაროში, ბავშვებს სულ ცოტა სიმშვიდის საშუალება მისცეს". უკანასკნელად პოლ მაკარტნი და რინგო სტარი ერთად 2002 წელს, ჯგუფ Beatles-ის წევრის - ჯორჯ ჰარისონის გასახსენებელ კონცერტზე გამოვიდნენ.



ტრანსცედენტურ მედიტაციას წლების განმავლობაში აწ უკვე გარდაცვლილი მაჰარიში მაჰეშ იოგა შეისწავლიდა, რომელსაც Beatles-ები თავიანთ სულიერ მასწავლებლად მიიჩნევდნენ და რომელმაც ჯორჯ ჰარისონის შორეული სულის მოძიებისთვის გადამწყვეტი გავლენა იქონია. ტრანსცედენტურ მედიტაციასთან ურთიერთობა არაერთაზროვანია. მედიტაციას მიმდევრები მთელს მსოფლიოში გამოუჩნდა, ხოლო თავად ეს მოძრაობაც საკმაოდ მომგებიან ბიზნესად იქცა. ზოგიერთი ამ მოძრაობას TM კულტს უწოდებს და ტოტალიტარიზმსა და ანტიმეცნიერებაში ადანაშაულებს, ზოგი კი, მაჰარიში მაჰეშ იოგას წმინდანად აღიარებს.

კომენტარები მთავარზე



## RICHARD WAGNER

ლაშა ბუღაძე

ისე მოხდა, რომ ამ რამდენიმე დღის წინ ვაგნერის "ტრისტანი და იზოლდა" ვიხილე მილანის "ლა სკალაში".

გამოგიტყდებით და, მიუხედავად იმისა, რომ თავს მსუბუქ ვაგნერიანელად ვთვლი, მაინც ვერდის მოსმენა და ხილვა მინდოდა მილანის საოპერო თეატრში (რადგან აგრესიულ ვერდიანელადაც ვთვლი თავს!), თუმცა განგებამ სხვაგვარად ინება - ვერდის სამშობლოში ვაგნერის ყველაზე ვნებიანი ოპერის მოსმენა მომიხდა.

"ტრისტანი" მართლაც იმდენად ვნებიანი ოპერაა, რომ როცა ის პირველად შესრულდა ლონდონში (მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში), ბრიტანულმა კრიტიკამ მას "ვულგარული და შიშველი" უწოდა. ვულგარულობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ვნებები კი მართლაც გაშიშვლებულია. არც შეიძლებოდა სხვანაირად. ვაგნერს შეუყვარდა თავისი მეგობრისა და ფინანსური მხარდამჭერის (ასე ვთქვათ, ქველმოქმედ-სპონსორის) ცოლი, მატილდე ვეზენდოკი. ცოდვა გამხელილი სჯობს და ვაგნერს საერთოდ სჩვეოდა ასეთი რამე-რუმეები. მატილდეს მერე ის თავისი თაყვანისმცემლისა და პროპაგანდისტი დირიჟორის, ჰანს ფონ ბიულოვის ცოლს, კოზიმასაც შეიყვარებს (ლისტის ქალიშვილს, სხვათა შორის!), ბიულოვს ოჯახს დაუნგრევს და თავად შეირთავს ცოლად კოზიმას. თუმცა შეურაცხყოფილი ქმარი, ჰანს ფონ ბიულოვი, მაინც მის ერთგულ თაყვანისმცემლად და პროპაგანდისტად დარჩება სიცოცხლის ბოლომდე. მაგრამ დავუბრუნდეთ ვეზენდონკების ამბავს. დრამატიზმი აქ ბევრად უფრო მეტია. ვაგნერს და მატილდეს თავდავიწყებით უყვართ ერთმანეთი, თუმცა ერთმაც მშვენივრად იცის და მეორემაც, რომ მათი სიყვარული განწირულია. ვაგნერს არა აქვს ფული, ის პოლიტიკური ძებნილია, მფრინავი ჰოლანდიელივით დაწანწალებს ერთი ქალაქიდან მეორეში, მას არ უნდა და არც შეუძლია, რომ მატილდეც ჩაითრიოს ამ ჯოჯოხეთში. მოკლედ, დიდი ტკივილებია, ტკივილები, ბევრი ცრემლი და დიდი უფულობაა. ამიტომ ვაგნერი შორდება ვეზენდონკებს და ოპერის წერას იწყებს. ტრისტანი თვითონაა, იზოლდა (თუ იზოლდე) მატილდე ვეზენდონკი, კეთილი მეფე მარკი კი მისი დამფინანსებელ-მეგობარი და, რაც მთავარია, მეტოქე - ოტო ვეზენდონკი. "ტრისტანის" პრემიერა მიუნხენში იმართება, ვაგნერი ჯიუტად ეპატიჟება ვეზენდონკებს პრემიერაზე, ისინი, ბუნებრივია, არ ჩამოდიან (სულაც არ უნდათ, რომ მთელი ბავარია მათზე უთითებდეს, აგერ, პროტოტიპებიც აქ არიანო), ვაგნერი ილანძღება, მან შედევრი შექმნა და უნდა, რომ ვეზენდონკებიც მასთან ერთად იყვნენ მიუნხენში, ფეხებზე კიდია ჭორიკანა ბავარიელები და ოტო ვეზენდონკის კომპლექსები, პრემიერის წინ კი, გენერალურ რეპეტიციაზე, ტრისტანის შემსრულებელი, ტენორი ლუდვიგ შნორი კვდება მოულოდნელად. აი, ასე, პირდაპირ სცენაზევე კვდება. და ვაგნერი ამბობს: "ის სიყვარულის მომაკვდინებელმა ძალამ მოკლა, ეს ძალა მე ჩავდე ამ მუსიკაში". მოხდენილი ნათქვამია, ჭეშმარიტად ვაგნერიანული, მაგრამ ამ პოეტიკის, ამ მოხდენილობის მიღმა მართლაც არის ძალა. ეს დღესაც შეიგრძნობა, საუკუნენახევრის მერეც! ხუთი საათის განმავლობაში ვაგნერს მუჭში ვყავდით მოქცეული, მისმა ენერგიამ დაგიპნოზებულებივით აგვაწება "ლა სკალას" სავარძლებს... ვაგნერის შემთხვევაში ყოველთვის ასეა: რაღაც გამოცდას უძლებ, უცნაურ მუსიკალურ რიტუალში იღებ მონაწილეობას და მერე, როცა ყველაფერი სრულდება, სიამაყის განცდა გეუფლება. სხვა კომპოზიტორები - სიამოვნებაა, ვაგნერი - გამოცდაც. ვერდის მსმენელი ბედნიერია, როსინის მსმენელი - აღტაცებული, პუჩინის - სენტიმენტალური, მოცარტის - გაღვთაებრივებული (!), ვაგნერის მსმენელი კი ამაყია, უზომოდ ამაყი, ვაგნერი ხომ გამოცდილებაა, არა მხოლოდ მუსიკა!

ვუსმენდი "ლა სკალას" მოლივლივე და მგზნებარე ორკესტრს და ვფიქრობდი, რომ პრაქტიკულად პირველად ვისმენ ინტერპრეტაციას, "ტრისტანის" ბარენბოიმისეულ (დირიჟორი) ინტერპრეტაციას... ჩვენ ხომ მოკლებულები ვართ ამას, რომელ ინტერპრეტაციებზეა ლაპარაკი, მთავარია, ნოტები მაინც აიღონ ზუსტად ჩვენმა ორკესტრანტებმა... ჩვენ ხომ არ ვიცით, რა არის ნამდვილი ფორტე, ნამდვილი პიანო... ქართული ფორტე - ტაშტის ხმაა... აი, საპონი რომ ჩაგივარდება ცარიელ ტაშტში... პიანო - მკვნესავი და შეჭირვებული გაზებისმაგვარი დისონანსები... საყვირები კი ჩვენი ფეხბურთის დონეა - სამარადჟამო და გადაულახავი პრუწუნი...

ეჰ, ნეტავ, გადავალთ ოდესმე დეტალების სრულყოფაზე? მარტო მუსიკაში კი არა, საერთოდ, ყველაფერში... პოლიტიკაში, მაგალითად!

ნეტავ, დადგება ოდესმე ისეთი დრო, რომ მხოლოდ მუსიკალურ პრობლემებზე ვწერო?

# ქართული ელექტროსცენა

## ელექტრონავტი 2009 21 მარტს გაიმართება

ია ვეკუა




ელექტრონავტი ბრუნდება - ორი წლის შემდეგ, ახალი მუხტით და ახალი ფორმატით. თუ აქამდე ნომინაციებში წარდგენილი მუსიკოსების, დიჯეებისა და კონცერტების შეფასება მხოლოდ ამ ელექტრომუსიკის თაყვანისმცემლებს ევალებოდათ, ახლა უკვე საკუთარ არჩევანს ჟანრის ექსპერტებიც გააკეთებენ. საუკეთესო ელექტრონავტების დაჯილდოების ცერემონიალი 21 მარტს გაიმართება. სწორედ ამ დღეს გავიგებთ, ვინ ქმნის ელექტროამინდს საქართველოში.

დაჯილდოების ცერემონიალი 21 მარტს ახალ კლუბ გურუშია დაგეგმილი. გამოვლინდება გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში: წლის სპონსორი, ქართული ვებ გვერდი, წლის რადიო გადაცემა, საუკეთესო ქართველი პრომოუტერი, წლის კონცერტი (ამ ნომინაციაში განიხილება დი ჯეი სეტი და ფესტივალი), საუკეთესო კლუბი ან დარბაზი, ხმის ჩამწერი კომპანია, ქართველი დი ჯეი და მთავარი ნომინაცია - წლის მუსიკოსი ანუ ელექტრონავტი . დაჯილდოების ცერემონიალის სტუმრებს სცენაზე მხოლოდ გამარჯვებულების ხილვა არ ელით - საღამოს ამ მუსიკალური ჟანრის წარმომადგენელთა კონცერტიც ელის.

ელექტრონავტი პირველად 2007 წლის მიწურულს ჩატარდა და იქვე ითქვა, რომ დაჯილდოების ცერემონიალი ორ წელიწადში ერთხელ გაიმართებოდა. საკმაოდ უცნაური იყო ცერემონიალის გამართვის ადგილიც - სამეფო უბნის თეატრი, რომლის სივრცე არანაირად ეწერებოდა საღამოს თემატიკასთან, თუმცა როგორც კი სცენაზე საღამოს წამყვანი ნენე კვინიკაძე გამოჩნდა თავისი კიბერ პანკური იმიჯით, ყველაფერი თავისით დალაგდა.

შეგახსენებთ პირველი ელექტრონავტის გამარჯვებულებს:

წლის "ელექტრონავტი" მაშინ ნიკა მაჩაიძე იგივე ნიკაკოი გახდა - ყველაზე წარმატებული ქართველი ელექტრონული მუსიკოსი, რომელიც ევროპაში უკვე დაასახელეს ქართული ელექტრონული მუსიკის მამად და ხშირად მსოფლიოში ცნობილი "ელექტრონშიკების" გვერდით მოიხსენიებენ.

საუკეთესო ინტერნეტგვერდის ნომინაციაში ერთმანეთს dance.ge, trance.ge და komuna.ge ეჯიბრებოდა. გაიმარჯვა dance.ge-მ - საიტმა, რომელიც მხოლოდ ელექტრონულ მუსიკაზეა ორიენტირებული და "ელექტრონავტების" გამოკითხვაც სწორედ აქ მიმდინარეობდა. იყო პრიზი ელექტრონული მუსიკის სპონსორებისთვისაც. აღმოჩნდა, რომ ამ მიმდინარეობას 2007 წელს ყველაზე მეტად "კენტი" სწყალობდა. საუკეთესო რადიო გადაცემად სწორედ კენტის მიერ დაფინანსებული რადიო "ფორტუნა+ -ის გადაცემა Musichall დაასახელეს.

წლევანდელისგან განსხვავებით შარშანწინ საუკეთესო კლიპის ნომინაციაც იყო. ვინაიდან ჩვენთან კლიპის ინდუსტრია მხოლოდ საყველპუროდაა განვითარებული, ხოლო ელექტრომუსიკოსები ამ მხრივ უფრო ნაკლებად აქტიურობენ, ნიკა მაჩაიძისა და ტუსია ბერიძის საკმაოდ ძველმა ვიდეომ City Lights გაიმარჯვა. Freq Nasty ყველაზე წარმატებულ და პოპულარულ უცხოელ შემსრულებლად დაასახელეს. გუგა ახალაძე კი წლის პრომოუტერი აღმოჩნდა. გუგა ახალაძის სახელს ბევრი თბილისური კლუბის განვითარება უკავშირდება, შესაბამისად საუკეთესო ივენთად სწორედ მის მიერ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ორგანიზებული Freq Nasty საღამო დასახელდა. ქლაბერების საყვარელ ადგილად კი მაშინ "ნაით ოფისი" დაასახელეს, გიო ბაქანიძე კი ყველაზე წარმატებული დი ჯეობისთვის დააჯილდოვეს.

დაჯილდოების ცერემონიაზე არანაკლებ საინტერესო იყო საღამოს საკონცერტო ნაწილიც, რომლის ძირითად ნაწილს ელექტრომუსიკისგან შორს მდგომი ჯგუფები შეადგენდნენ. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ "მწვანე ოთახი", String, Re-Beat, ბაჯუ და საღამოს გმირი ნიკა მაჩაიძე.

# OASIS ჩინეთში



ბრიტანული ჯგუფის Oasis დაგეგმილი კონცერტები პეკინსა და შანხაიში, რომლებიც მსოფლიო ტურნეს ფარგლებში 3 და 5 აპრილს იყო დაგეგმილი, გადაიდო. ამის შესახებ ჩინური მხარის შოუს ორგანიზატორებს სააგენტო Associated Press-მა აცნობა. კონცერტების გადადების რეალური მიზეზები არ სახელდება. სააგენტოს ინფორმაციით, კონცერტის ბილეთების გაყიდვა 28 თებერვლიდან უკვე შეწყვეტილი იყო. გაყიდული ბილეთების დაბრუნების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით Oasis-ის წევრების დადასტურების მიღება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ჯგუფის ოფიციალური საიტი დრო და დრო მიუწვდომელია, ხოლო Oasis-ის სოციალურ ინტერნეტ გვერდზე MySpace კონცერტების გადადების შესახებ ინფორმაცია ამ დროისათვის არ ვრცელდება. პეკინსა და შანხაიში კონცერტების ჩატარების შესახებ განცხადება ჯერ კიდევ გასულ თვეში გააკეთეს. შოუ ჯგუფ Oasis-ის განახლებული კოლექტივით პირველი გამოსვლა უნდა ყოფილიყო ჩინეთში. სააგენტო აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი ისიც, ჩატარდება თუ არა Oasis-ის კონცერტი 7 აპრილს ჰონკონგში.

ბოლო დროის განმავლობაში, ჩინეთში გასტროლებზე უმეტესად დიდი რაოდენობით დასავლეთის მუსიკოსები ჩადიოდნენ, რომელთა შორის იყვნენ ელტონ ჯონი და ჯგუფი Rolling Stones. აღსანიშნავია, რომ მომღერალ ბიორკის ინციდენტის შემდეგ, რომელმაც თავისი სიმღერის Declare Independence-ის ("გამოაცხადე დამოუკიდებლობა") შესრულების შემდეგ "ტიბეტ! ტიბეტ!"-ის ყვირილი დაიწყო, ჩინეთის მთავრობამ ჩამოსული მომღერლების რეპერტუარზე განსაკუთრებული კონტროლი დააწესა. "ჩვენ გაძლიერებულად გავაკონტროლებთ იმას, თუ რას შეასრულებენ აქ ჩამოსული მომღერლები. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ანალოგიური შემთხვევა არ განმეორდეს. ჩვენ არასდროს დავუშვებთ ტიბეტის ჩინეთიდან განცალკევების არანაირ მცდელობას და არ მივიღებთ ჩვენს ქვეყანაში არც ერთ მომღერალს, რომელიც ამ საკითხის განხილვას და შეწინააღმდეგებას შეეცდება", - ნათქვამია ჩინეთის კულტურის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის ზაფხულში ჯგუფი Oasis-ი კონცერტების ჩატარებას თავის სამშობლოში - დიდ ბრიტანეთში აპირებს. გამოსვლები ედინბურგში, ლონდონში, კარდიფსა და მანჩესტერში გაიმართება. Oasis-სთან ერთად ჯგუფები: Reverend And The Makers, Twisted Wheel, The Peth და Kasabian გამოვლენ.

# ახალი მიზანი არტ ჰოლის შემდეგ

სოფო კილასონია

უკვე არაერთი წელია, რაც მსახიობი გოგა პიპინაშვილი მხოლოდ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრთან არ ასოცირდება. მისი საქმიანობა კი - მხოლოდ მსახიობის მოღვაწეობასთან. 15 წლის წინ დაიბადა "არტ ჰოლის" შექმნის იდეა. დამფუძნებელთა შორის გახლდათ თავად მაესტრო მიხეილ თუმანიშვილი. მისმა გარდაცვალებამ ბატონი გოგა ამ ერთობ დიდი და საპასუხისმგებლო საქმის წინაშე მარტო დატოვა, მაგრამ პრობლემური ჯანმრთელობის ბავშვების დახმარების იდეა იდეად ვერ დატოვა, და ის რომ იდეალისტი არ იყო, შემდეგი 15 წლის განმავლობაში საქმით დაგვანახა.

■■■

თბილისის რამდენიმე სკოლის შესასვლელი კიბის გვერდით პანდუსები მიაშენეს. მიზანი იყო ის, რომ მოსაწავლეებს, რომლებიც ინვალიდის ეტლებს არიან მიჯაჭვულნი, არ გაუჭირდეთ სკოლებში შესვლა. ეს პანდუსები ალბათ გამომხატველი უნდა ყოფილიყო იმ ახალი მიდგომებისა, რომლის დანერგვასაც განახლებულ განათლების სისტემაში აპირებდნენ, გამომხატველი უნდა გამხდარიყო იმ არაერთი პროგრამისა, რომელიც ფინანსდება ქართული და უცხოური ფონდების მიერ. მაგრამ სულ პატარა ანალიზი იმისა, თუ როგორ ებრძვიან სტიგმას საქართველოში, საკმარისია იმის მივხვედრად, რომ პანდუსები არ კმარა. და მაინც, პანდუსზე მომაგონდა. სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველსა და მეორე კორპუსში შესვლისა და გადაადგილების საკითხი ვერაფრით გადაიჭრა ათწლეულების მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ შესასვლელ კიბეებს არაერთი წარჩინებული, მაგრამ სავარძელს მიჯაჭვული სტუდენტი ებრძოდა და ებრძვის. თუმცა, მე მაინც იმის თქმა მსურდა, რომ კიბე და არქიტექტურა არ ცვლის მთავარს, - დამოკიდებულებას "განსხვავებული" ადამიანების მიმართ და ვერ გაამრთელებს მათ სულიერ, ემოციურ ბზარებს. ალბათ დაახლოებით ამ დასკვნამდე მივიდა წლების წინ გოგა პიპინაშვილიც, მაგრამ მას შემდეგ ამ ერთი დასკვნის გარდა, კიდევ იყო ბევრზე ბევრი აზრი და მიზეზი, რის გამოც ბრძოლას პირდაპირი მნიშვნელობით განაგრძობდა. ბრძოლას იმისთვის რომ "არტ ჰოლს" დახმარებოდნენ, ღია ცის ქვეშ არ დაეტოვებინათ და სადმე დაებინავებინათ.

"არტ ჰოლში" შეძლეს ის რაც ძალიან რთულად მიიღწევა, უფრო სწორად ჯერ ვერ მიუღწევიათ განათლების სისტემის რეფორმატორებს და ექსპერიმენტულ, საპილოტე სკოლებს. ამ სახელოვნებო სასწავლებელში თითქმის 100 პროცენტით ხდება ორგანული დარღვევების მქონე ბავშვების ინტეგრაცია ჯანმრთელ თანატოლებთან, რომლებსაც მსგავსი პრობლემები არ აქვთ, მაგრამ ასევე არტ ჰოლის აღსაზრდელები არიან და ჯანმრთელ საზოგადოებასთან. "არტ ჰოლში" ამ წლების განმავლობაში პატარა ადამიანები დაეუფლნენ სამსახიობო ოსტატობას, მხატვრობას, ისწავლეს მუსიკის და ზოგადად ხელოვნების აღქმა, აზროვნება. ესენი არიან ადამიანები, რომელთათვისაც შემოქმედებით გარემოში არსებობას უდიდესი დატვირთვა აქვს. და თუ ვაზროვნებთ ისე როგორც ვსაუბრობთ, თუ "ინტეგრაცია", "რეაბილიტაცია", "პრობლემის დაძლევა"... მხოლოდ



სიტყვები არაა, მაშინ ამ ხნის განმავლობაში "არტ ჰოლის" მისია და მისი არსებობის აუცილებლობა საზოგადოებისთვის ნათელი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ასე არ მომხდარა. ალბათ ამიტომაც ბატონი გოგა ფიქრობს, რომ ერთი ეტაპი დასრულდა და ახლა, ან დაიწყება სულ სხვა, ანდა დასრულდება ყველაფერი.

**გოგა პიპინაშვილი**: ამ ეტაპზე ჩვენი სტუდია ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის თეატრალური სეგმენტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეს გარკვეულწილად საგულისხმოა, კარგია და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის გიგი თევზაძისა და უნივერსიტეტის მიმართ. მაგრამ პრობლემა მაინც გადაუჭრელია და რაში მდგომარეობს აგიხსნით. ჯერ ერთი ეს თავშესაფარია და დროებითია, საკალათბურთო დარბაზში ვმუშაობთ. იქ შეიძლება ჩატარდეს ცეკვა, ვარჯიში, მაგრამ ძალიან რთულია იქ თეატრალურ სპექტაკლზე მუშაობა. უნივერსიტეტისადმი არანაირი პრეტენზიები არ მაქვს, პირიქით, ძალიან დაგვეხმარნენ, კარგი პირობები შექმნეს ჩვენი ბავშვებისთვის. მაგრამ მე რამდენადაც საქმის კურსში ვარ, დღის წესრიგში დგას უნივერსიტეტის სხვა შენობაში გადასვლა. უნივერსიტეტს მისცეს სხვა დამოუკიდებელი შენობა, სადაც გაშენდება სტუდენტური ქალაქი და ძალიან დიდსა და საინტერესო გეგმებს განახორციელებენ. შეიძლება იქაც გამოინახოს ადგილი ჩვენთვის, მაგრამ უნივერსიტეტთან არსებული პატარა ბავშვების სტუდია და თანაც არასტანდარტული, რთული წარმოსადგენია. აქედან გამომდინარე, პრობლემა პრობლემად რჩება და დღეს თუ არა, ზეგ მაინც მოგვიწევს შენობის დატოვება და ისევ უსახლკაროდ დავრჩებით.

წელს 15 წელი შეუსრულდა ჩვენს ხელოვნების ცენტრს. მასში თავმოყრილი იყო 12 სასწავლო სტუდია, - სხვადასხვა მიმართულებები, მუსიკალური, საყმაწვილო, რადიო-ჟურნალისტიკა და ა.შ. და ახლა მარტო თეატრალური დარჩა. შესაბამისად კითხვის ქვეშ დადგა, საერთოდ უნდა არსებობდეს თუ არა "არტ ჰოლი"? მეც დავიღალე ამდენი ენთუზიაზმით. თეატრში რა ხელფასსაც მიხდიან, იმ ხელფასით ვყიდულობ ელიავას ბაზრობაზე საღებავს და მიმაქვს სტუდიაში და ვღებავ, რომ მოწესრიგებული იყოს ოთახი. 15 წელი ვიჯაჯღანე, ქვეყანა შევაწუხე წუწუნით რომ სახლი არ გვაქვს და რომ უნდა ვინმემ გვიშველოს. გადამაქციეს მათხოვრად... იყო პერიოდი და მე ვერავის ვერაფერი დავანახე და ალბათ სამომავლოდ მიხედავენ დედები და მამები ამ თავის შვილებს. სხვა გზა აღარ დაგვრჩენია... უკვე უტოპიურ აზრად მიამჩნია ამ სტუდიის არსებობის გაგრძელება. მთელი შეკვრა მაქვს საბუთების - "გადაეცეს, გამოეყოს..." და არაფერი. არც იმ ხელისუფლების დროს და არც ამ ხელისუფლების მმართველობის დროს, არავის არაფერი გაუკეთებია რეალურად.

ინტეგრაცია ავადმყოფებისა და ჯანმრთელი ბავშვები, სტიგმის დაძლევა - ეს განსაკუთრებული თემაა, პოპულარული. ძალიან ბევრმა შემომთავაზა გარკვეულ კოალიციაში შესვლა, ცდილობდნენ ჩემი სახელი გამოეყენებინათ, მაგრამ არა. ჩემთვის ეს თემა სასპეკულაციო, ხელის მოსათბობი და ფულის გასაკეთებელი თემა ვერ გახდება. ჩემი შვილიც ერთ-ერთი მათგანია და ეს სტუდია ჩემი ბიზნესი არაა. ეს არის საქმე, რომელსაც მე შემიძლია სიცოცხლე მივცე. ამ ბავშვებს ძალიან სჯერათ ჩემი და ჩემი ნებისმიერი ნაბიჯი მოქმედებს მათზე. ამას ხედავს მხოლოდ ჩემი თეატრი. პერმანენტულად ჩემი კოლეგები და მეგობრები მოდიან ჩვენთან და ჯგუფები აჰყავთ...

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. მიშა თუმანიშვილისგან ვიცი, რომ თეატრი შეიძლება მოკვდეს დაარსებიდან 10 წელიწადში, ეს სტუდია რაღა გახდა?! ვერ ვიშოვნე ეს თავშესაფარი და უნდა დავიშალოთ, სხვა გზა არაა. მაგრამ შინაგანად მე მაქვს კიდევ ბრძოლის უნარი. ის ბავშვები, რომლებიც გამოვიდნენ თავიანთი პრობლემატური მდგომარეობიდან, დღეს თვლიან, რომ სრულფასოვანი ადამიანები არიან, დღეს უნდათ მათ ჩვეულებრივი, სრულფფასოვანი ცხოვრება. ვიცი, რომ მათ მაინც უნდა შევუქმნა პირობა, რომ ჰქონდეთ თავიანთი თეატრი. ჩვეულებრივ თეატრში მათ არ მიიღებენ.

**- ეს რა, ახალი მიზანია ?**

- დიახ, ახალი მიზანია. ეს უნდა იყოს სამწლიანი სასწავლებელი თეატრით. ის ვერ გახდება თეატრალური ინსტიტუტის ალტერნატივა, მაგრამ სახელობითი სკოლა ნამდვილად იქნება, რომელსაც ექნება თვისი პროფესიული თეატრი, ინტეგრირებული ტიპის თეატრი.

**- სივრცე ვერ მოიძებნა სტუდიისთვის, ფიქრობთ რომ თეატრის ჩამოყალიბებისთვის დახმარება გამოჩნდება ?**

- ჰოდა, აი დღეს საბოლოოდ ვაყენებ საკითხს ამ სახით : ჩვენ გვინდა ცარიელი სივრცე, ცარიელი ტერიტორია, სადაც ყველა თითო აგურს მივიტანთ. მე ვგულისხმობ იმ მოზარდებს, იმ ხალხს ვისთვისაც გაკეთდება ეს თეატრი, ჩვენ ჩვენით ავაშენებთ, არ გვჭირდება არავინ საერთოდ.

1 ივნისს შეგნებულად დიდი აქცია მოვაწყვეთ და აქციის სახე ჰქონდა სპექტაკლს, რომელიც წელიწადნახევრის განმავლობაში მიდიოდა თუმანიშვილის სახელობის თეატრში, 1 ივნისს ვითამაშე რუსთაველის თეატრში, მოწვეული მყავდა ყველა ის ადამიანი, ვისაც შეეძლო ამ საკითხის მოგვარება, მათ შორის პირველი იყო პრეზიდენტი. ის მოვიდა და თვალცრემლიანი ამოვიდა სცენაზე, ბავშვებს ნამდვილად გულით მოეფერა, მას გული მართლაც აუჩუყდა, რადგანაც ბავშვებმა არაჩვეულებრივად ითამაშეს და ამით დაესვა წერტილი იმ საქმიანობას რაც მქონდა მისთვის სათხოვარი. ასე რომ მე უკვე ველარ წარმომიდგენია იმ ადამიანის გამოჩენა, რომელიც გადაგვიწყვიტავს პრობლემებს.

**- რამდენადაც მივხვდი, ინტეგრირებული თეატრის ჩამოსაყალიბებლად უკვე არსებობს დასი, რომლებიც იმ ადამიანებისგან დაკომპლექტდება, რომლებიც წლების განმავლობაში "არტ ჰოლის" სტუდიის აღსაზრდელები იყვნენ. გასაგებია, ადამიანებს ორგანული დარღვევებითაც აქვთ უფლება ხელოვნებას ემსახურონ და გახდნენ პროფესიონალები. არსებობს ინტელექტუალური, შემოქმედებითი ძალა, მაგრამ არ არსებობს ისევ ადგილი. ადგილი თვითდამკვიდრებისთვის. როგორც თქვენ ამბობთ, - მიწის ნაგლეჯი...**

- სწორედ რომ მიწის ნაგლეჯი, რომელიც რამდენიმე წლით სარგებლობაში გადაეცემათ ამ ბავშვებს და არა კონკრეტულად გოგა პიპინაშვილს. ეს სახელმწიფო თემაა და სახელმწიფო თემად დარჩება. თეატრი თუ აშენდა, მე ხომ არ ჩავიდებ ჯიბეში და სახლში ხომ არ წავიღებ? ეს იქნება იმ ფონდის თეატრი, სადაც ეს ბავშვები, ახალგაზარდები იქნებიან გაერთიანებულნი. ეს იქნება ძეგლი იმ სამი ათაზე მეტი ბავშვების არაერთი წლის წვალებისა. მათ უნდა დაუფასდეთ შრომა და მიეცეთ ნიჭის გამოხატვის საშუალება. მათგან ძალიან ბევრი უკვე მსახიობია პროფესიულ თეატრებში. ერთი დაძახება უნდა და დიდი დასი გვყავს. არც ერთი ჩემი კოლეგა, ჩემი თეატრის მსახიობი არ იტყვის უარს მათთან თამაშზე. ბავშვებს ხომ პროფესიული ზრდა სჭირდებათ, ხომ არ შეიძლება ცეკვა-სიმღერა ასწავლო სტუდიურ დონეზე და მერე ბედის ანაბარა გადააგდო ისინი? თეატრალურ ინსტიტუტში ორგანული დარღვევის ბავშვებს არ ღებულობენ. საქართველოში ასეთი ბავშვები არ შეიძლება სცენაზე გადიოდნენ. ეს მაშინ, როცა ეს შესაძლებელია დიდ ბრიტანეთში და სხვა ევროპულ ქვეყნებში. ლონდონში არსებობს სხვადასხვა უნარებს მოკლებული ადამიანების მოძრაობის თეატრი. ჩვეულებრივი თეატრი კი არა, უფრო რთული - მოძრაობის თეატრი და საქართველოში, ასეთ თბილ ქვეყანაში ჩვენს შვილებს რომ არ მოვუვლით, რაზეა საერთოდ ლაპარაკი?

ამიტომ უკვე სხვაგვარად, მაგრამ კიდევ ერთხელ ვაყენებთ საკითხებს, თუ ვინმე გაიგებს და გაიაზრებს ხომ კარგი, თუ არა და, ჯანდაბას. მე ის ფული არასდროს მექნება რომ წავიდე და ქალაქის ცენტრში ვიყიდო მიწა, რომ მერე იქ რაღაც ავაშენო. ის რომ 15-16 წლის ბავშვები ქუჩაში არ არიან და ერთი საქმით არიან დაკავებულნი, - სცენაზე დგანან და შექსპირს კითხულობენ, ნოდარ დუმბაძეს კითხულობენ, ეს უკვე დიდი მიღწევაა და უნდა ესმოდეთ მათ ვისაც ამ პრობლემის მოგვარება შეუძლიათ.

ეს ბავშვები არიან ჩვენი ქვეყნის მომავალი. მათია ეს ქვეყანა და არ შეიძლება ხელგაწვდილები დადიოდნენ. მათ უნდა მოითხოვონ და მიიღონ კიდეც.

მე უკვე ყველას ყველაფერი ვუთხარი და არაფერი. მეტი რა გავაკეთო აღარ ვიცი, თუ არა რომ ლოგიკური წერტილი დავსვა და ვიფიქრო რაღაც ახალზე, ისეთზე, რაც ამ ბავშვებს ბედის ანაბარა არ დატოვებს.

■■■

მიხეილ თუმანიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებული წლევანდელი ღონისძიებებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სწორედ არტ ჰოლის ახალი სპექტაკლი გახლდათ. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ გოგა პიპინაშვილს და მის პატარა მსახიობებს დაუთმო არა მხოლოდ სცენა, არამედ სარეპეტიციო ოთახი, დრო და რაც მთავარია, ყურადღება. არტ ჰოლის მორიგი წარმოდგენა არაერთი სხვა თეატრალური წარმოდგენისგან გამოირჩეოდა. გამოირჩეოდა იმით, რაც ასე ძალიან გვაკლია ყველას - დამაჯერებლობით, გულწრფელობით, სიკეთით, ნიჭიერებით და სიმართლით. მაგრამ სიმართლის, სიკეთის დანახვა და დაფასება, როგორც ჩანს, აშკარად რთულია...

# განცხადება ტენდერში მონაწილეობაზე

**1.** თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის სამსახური აცხადებს ტენდერს დასუფთავების მანქანის (ორი ერთეული) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**2.** საქონლის მიწოდების ადგილმდებარეობა - თვითმმართველი ქალაქ ფოთი.

საქონლის შესყიდვის სავალდებულო ვადაა ტენდერში გამარჯვებულთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებიდან **2009 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 15 მაისის ჩათვლით.**

**შესასყიდი საქონლის ძირითადი მახასითებლები:**

დასუფთავების მანქანები- ორი ერთეული: I. დასუფთავების მანქანა (ნაგვის გადამტანი მანქანა) -სიმძლავრე-არანაკლებ 180 KBT/245/PS, საწვავის მოხმარება - დიზელი, ეკოლოგიურად უსაფრთხო, ნაგავის გადაზიდვის მოცულობა 26000კგ, სამხიდიანი, არანაკლებ 2000 წელს გამოშვებული, დასაშვებია მეორადი კარგ მდგომარეობაში, სიჩქარის გადართვის მოწყობილობა მექანიკური. II. დასუფთავების მანქანა (ნაგვის გადამტანი მანქანა) -სიმძლავრე-არანაკლებ 159 KBT/216/PS, საწვავის მოხმარება - დიზელი, ეკოლოგიურად უსაფრთხო, ნაგავის გადაზიდვის მოცულობა 18000კგ, ორხიდიანი, არანაკლებ 2000 წელს გამოშვებული, დასაშვებია მეორადი კარგ მდგომარეობაში, სიჩქარის გადართვის მოწყობილობა მექანიკური.) მიმწოდებელმა თავისი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს მოსაწოდებელი საქონლის განბაჟება ტრანსპორტირება და შემსყიდველისთვის ჩაბარება ხელშეკრულების დადებიდან **2009 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 15 მაისის ჩათვლით** თვითმმართველი ქალაქი ფოთი ჭანტურიას ქ. N3. შემსყიდველს მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს ყველა დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია დასუფთავების მანქანებთან (მანქანების პასპორტები და სხვა.) ამასთანავე, შემსყიდველს მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან იმის შესახებ, რომ დასუფთავების მანქანები (ყველა მექანიზმი) გამართულ მდგომარეობაშია. Mმიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი სახსრებით შსს მომსახურების სააგენტოში ზემოხსენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის სამსახურის საკუთრებად რეგისტრაცია და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდელისთვის. ამასთანავე, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა ხარჯების საკუთარი სახსრების დაფარვა, რომელიც დაკავშირებულია ზემოხსენებული დასუფთავების მანქანების შესყიდვასთან და მიწოდებასთან დაკავშირებით.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა"- მისთვის

სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის სამსახური, ქ. ფოთი, გიორგი ჭანტურიას ქუჩა N3, ადმინისტრაციული შენობის II-სართული, სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ: 8 (293) 2-10-56.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**4.1. იურიდიული პირისათვის, ინდ. მეწარმეებისათვის (ფიზიკური პირებისათვის):**

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (გარდა ინდ. მეწარმეებისათვის (ფიზიკური პირებისათვის);

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი პირი, ინდ. მეწარმე (ფიზიკური) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ საგადასახადო დავალიანების არ არსებობის შესახებ.

ე) მონაწილის იურიდიული სტატუსი, დაურთეთ ასლი რეგისტრაციის და მოღვაწეობის ძირითადი ადგილი, სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი;

ვ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ზ) ინფორმაცია უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით.

თ) სატენდერო კომისიის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც მითითებულია მე-4 პუნქტში ასევე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

**5.** ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4. პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ (საბანკო რეკვიზიტები - ხაზინის ერთიანი ანგარიში N-200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222, სატენდერო შემოსავლის კოდი 300423174) განხორციელდება **2009 წლის 6 მარტიდან 2009 წლის 26 მარტის 1200 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის სამსახური, ქ. ფოთი, გიორგი ჭანტურიას ქ. N3.

**7.** სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის ბოლო ვადაა: **2009 წლის 26 მარტის 12.00 საათამდე,** განცხადების მე-3 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

**8.** იურიდიული და ფიზიკური (ინდ. მეწარმეები) პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% -ის ოდენობით. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს არა აქვთ უფლება წარმოადგინონ ალტერნატიული წინადადება.

11. ტენდერში პრეტედენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების მთლიანი ფასის 2%-ის ოდენობით.

12. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის სამსახურში (ქ. ფოთი, გიორგი ჭანტურიას ქ. N3) ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: მაია სულავა, მისამართზე: თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის სამსახური. ქ. ფოთი, გიორგი ჭანტურიას ქ. N3, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 2-10-56.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის
ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ქონების მართვის
სამსახურის სატენდერო კომისია

# შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი" აცხადებს კონკურსს

**შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის" ბალანსზე რიცხული ავტობუსებზე (30 ერთეული „ბოგდანი"-სა და 25 ერთეული „ზონდა"-ს მარკის) რეკლამის განთავსების მიზნით ფართის იჯარით გაცემის შესახებ.**

**საკონკურსო პირობები:**

1. *ძირითადი საკონკურსო მონაცემები:*

**- საიჯარო ქონება (ავტობუსების გარე ფართი) მდებარეობს ქალაქ ბათუმში**

**- ავტობუსები დადგენილი გრაფიკის შესაბამისად მოძრაობენ ქალაქ ბათუმსა და მის შემოგარენში (სარფი, მახინჯაური, ქობულეთი)**

**- ფართის საწყისი საიჯარო ფასი ერთ ავტობუსზე თვეში 200 (ორასი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით).**

**- „ბე" - 500 ლარი**

**- იჯარის ვადა - ერთი წელი.**

**G- განცხადების მიღების ადგილი: -** ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N2, ((888222) 4 71 80.

**- განცხადების მიღების ვადაა -** 2009 წლის 6 მარტიდან 2009 წლის 27 მარტამდე.

**- კონკურსის ჩატარების თარიღი ადგილი და დრო - 2009 წლის 27 მარტი,** ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N2, საწაროს ადმინისტრაციული შენობა, 15:00 საათი.

**- შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის" რეკვიზიტები -** სადენტიფიკაციო N 245445200, სს „პროკრედიტ ბანკის" ბათუმის ფილიალი 220101901 ანგარიშის N 360701011900002,

**- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ -** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

2. **კონკურსის პირობები:**

- მოიჯარის მიერ საიჯარო თანხის ყოველთვიურად გადახდა.
- მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს საიჯარე ფართის მოვლა-პატრონობა.
- *შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის" დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოოს საკუთარი მიზნებსთვის ესაჭიროება საიჯარო ფართი, მოიჯარე ვალდებულია გაფრთხილებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში გაანთავისუფლოს აღნიშნული ფართი.*

3. **საუკეთესო წინადაების გამოვლენის კრიტერიუმები:**

- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებია: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საიჯარო თანხის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო თანხას.

**4. იჯარის ხელშეკრულების დადება:**

- კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული Dდღის განმავლობაში გამარჯვებული ვალდებულია შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტთან" გააფორმოს საიჯრო ხელშეკრულება
- სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო თანხის გადახდას იგი ჯარიმდება ყოველ ვადადგაცილებულ დღეზე მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 0,01 %-ის ოდენობით (ჯარიმა ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
- თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება (ამასთან ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მოჯარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან).

5. **კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადება, მოთავსებული კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ. წინადადება საიჯარო თანხის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის (მითითებით) სახით.
- „ბე"-ს გადახდის ქვითარი.
- კონკუსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
- კონკურსში მონაწილე განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან იძენს კონკუსში მონაწილის სტატუსს.
- კონკუსში მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტების გახსნას. ამასთან მონაწილეთა წინადაებებს საკონკუსო კომისია განიხილავს მათი დასწრების გარეშე.
- გადაწვეტილებას კონკურსში საუკეთესო წინადადებების გამოვლენის შესახებ, ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- კონკურსი ითვლება არშემდგარად ან უარყოფითი შედეგით დამთავრებული, თუ კონკუსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხდადებიდან არც ერთი არ შესაბამება კონკურსის პირობებს.

6. **შენიშვნა და დათქმები**

- მოიჯარეს გადახდილი „ბე" ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო თვის ანგარიშსწორებად.
- დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ განიხილება.
- განაცხადის შემოსვლის თარიღად განისაღვრება მისი რეგისტრაციის თარიღი.
- თუ განაცხადის მიღების ბოლო ვადა ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.
- დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტში" მისამართი ქ. ბათუმი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N2, ტელეფონი 4 71 80 საკონტაკტო პირი: ამირან შაქარაძე

# სპორტი

## შორია სიურპრიზამდე



*კვირიკაშვილმა ფიჯის ორი ლელო გაუტანა.*

საქართველოს 7-კაცა მორაგბეთა ნაკრებმა დუბაიში მიმდინარე მსოფლიო თასზე ღირსეული სტარტი აიღო. კახა ალანიას გუნდი პირველ შეხვედრაში მსოფლიო ჩემპიონ ფიჯის გაეჯიბრა და 26:10 დამარცხდა. უნდა ითქვას, რომ თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ქართველი მორაგბეები ტოლს არ უდებდნენ მეტოქეს. ანგარიში - 10:12 იყო ფიჯელთა სასარგებლოდ. თუმცა ვილიმონ დელასუასა და პენი როკოდივას ლელოების შემდეგ ფიჯის ნაკრებმა საბოლოოდ გატეხა ქართველთა წინააღმდეგობა.

პირველ ტაიმში ნანუკუს და ნალაგას ლელოებს კვირიკაშვილმა ერთი ლელოთი უპასუხა. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა კვირიკაშვილმა დუბლი შეასრულა და მინიმუმამდე შეამცირა ანგარიშის სხვაობა - 10:12. თუმცა თამაშის ბოლო მონაკვეთში დელასუამ და როკოდივამ კიდევ ორი ლელო გაიტანეს ქართველთა ჩათვლის მოედანში და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწიეს.

უცხოელმა მიმომხილველებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს ნაკრების თამაში: "ამ მატჩში შესაძლოა სიურპრიზის მოწმეებიც გავმხდარიყავით - ამბობენ ისინი - მაგრამ ქართველებს დელასუასა და როკოდივას გარღვევები გამოეპარათ და დამარცხდნენ."

მომდევნო შეხვედრებს საქართველოს ნაკრები დღეს, საფრანგეთისა და აშშ-ის გუნდებთან გამართავს და წარმატების შემთხვევაში, მედლებისთვის თუ არა, სინისთვის მაინც იბრძოლებს. გუშინვე B ჯგუფში საფრანგეთის ნაკრებმა დაამარცხა აშშ - 26:17 და ფიჯისთან ერთად სათავეში ჩაუდგა ჯგუფს.

შეგახსენებთ, რომ გათამაშებაში მონაწილე 24 გუნდი განთესილია 6 ქვეჯგუფში. თასისთვის იბრძოლებს 8 გუნდი - ჯგუფებში პირველადგილოსნები და 2 საუკეთესო მეორეადგილოსანი. მე-9 ადგილისთვის (სინისთვის) იბრძოლებენ ჯგუფებში უარესი ორი მეორეადგილოსანი და 4 საუკეთესო მესამეადგილოსანი, ხოლო მე-17 ადგილისთვის (ფიალისთვის) - ორი უარესი მესამეადგილოსანი და მეოთხეადგილოსნები.

**ფიჯი - საქართველო 26:10**

**ფიჯი:** შემის ნაევო, აპოლოს სათალა, ნაპოლეონ ნალაგა, ჯონ დუნივუჩუ, ვერენიკ გონევა, ვილიმონ დელასუა, ნაუმი ნანუკუ.

**4 ლელო:** ნანუკუ, ნალაგა, დელასუა, როკოდივა.

**3 გარდასახვა:** დუნივუჩუ

**საქართველო:** ვიქტორ კოლელიშვილი, ალექსანდრე თოდუა, გიორგი ჩხაიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, გიორგი შკინინი, გიორგი კაჭარავა

**2 ლელო:** კვირიკაშვილი

## შეყილაძის რჩეულები

20-25 მარტს საქართველოს 17 წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები ავსტრიაში ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში მიიღებს მონაწილეობას. ქართველი ჭაბუკები ამ ტურნირისთვის კარგა ხანია ემზადებიან. ნაკრების მწვრთნელმა გელა შეყილაძემ გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებსაც ავსტრიაში წაიყვანს. ამის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

**მეკარეები:** 1. გიორგი აზნიაშვილი ( ნორჩი დინამო ), 12. კახა მეშველიანი ( ზესტაფონი );

**მცველები:** 2. ცოტნე ხარაბაძე ( ტორპედო ), 3. ბაქარ მირცხულავა ( ბენფიკა , პორტუგალია), 4. მამუკა კობახიძე ( საბურთალო ), 5. ავთანდილ ბრაჭული ( დუშეთი ), 14. ნიკა კვეკვესკირი ( ბაია ), 15. ნიკა აფაქიძე ( ბაია ), 16. ლევან საბაძე ( დინამო" თბილისი);

**ნახევარმცველები:** 6. ლევან ელიზბარაშვილი ( ნორჩი დინამო ), 7. ნიკა ძალამიძე ( ბაია ), 8. გიორგი კუხიანიძე ( ტორპედო ), 9. ჯანიკო ანანიძე ( სპარტაკი , რუსეთი), 13. გიორგი ჩელებაძე ( დინამო ბათუმი );

**თავდამსხმელები:** 10. ირაკლი შეყილაძე ( ემპოლი , იტალია), 11. ლაშა ჩაფიძე ( ნორჩი დინამო ), 17. ბესიკ დეკანოიძე ( ჩიხურა ), 18. გიორგი ჭანტურია ( ბარსელონა , ესპანეთი).

20 მარტს შეყილაძის შეგირდები შოტლანდიის დაუპირისპირდებიან, 22 მარტს - ავსტრიის ნაკრებს, 25 მარტს კი დასკვნით მატჩს იტალიასთან ჩაატარებენ.

ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, 17 წლამდელთა ნაკრებისთვის ფეხბურთელების შერჩევა 2007 წელს დაიწყო და გუნდის სამწვრთნელო შტაბმა საქმეში ნახა 1992 წელს დაბადებული 3 085 ჭაბუკი და 1993 წელს დაბადებული 1 787 მოთამაშე.

გასულ წელს, უნგრეთში ჩატარებული საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ, შეყილაძის გუნდმა სლოვენიაში, ხორვატიასა და აზერბაიჯანში, 6 სპარინგი გამართა, რომლებშიც 59-მა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა და მათგან 18 საუკეთესო შეირჩა.

## მუჯუს მორიგი გოლი



*მუჯირი გოლების გატანას დაეჩვია.*

რუსეთის პრემიერლიგის საფეხბურთო კლუბ მოსკოვის ლოკომოტივის მიერ ავსტრიულ შეკრებაზე ვენის რაპიდთან ამხანაგურ მატჩში 4:2 გამარჯვებას ქართველმა შემტევმა ნახევარმცველმა დავით მუჯირმა დაუდო სათავე.

განვლილ მატჩში მუჯირი გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-5 წუთზე გახსნა ანგარიში.

მოსამზადებელ პერიოდში ლოკომოტივის მიერ ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში ქართველი ლეგიონერი შედეგიანობით გამოირჩევა, რასაც ავსტრიაში გამგზავრებამდე იტალიაში ჩატარებულ შეკრებაზე ლაციოსთან 3:1 მოგებულ მატჩში მის მიერ დუბლის შესრულებაც მოწმობს.

იმავე შეკრებაზე მუჯირმა ჩელანოსთან 8:0 მოგებულ სპარინგმატჩშიც შეასრულა დუბლი.

### ალექსიძემ ˝დიორს˝ მოაგებინა

უნგრეთის ლიგის თასზე დიორ ეტომ უიპეშტს 3:2 სძლია, გადამწყვეტი გოლი კი მასპინძელთა ქართველმა ფორვარდმა რატი ალექსიძემ გაიტანა. ალექსიძემ შეუცვლელად ითამაშა, სტუმართა კარის კი 88-ე წუთზე დალაშქრა.

დიორმა პირველი ტაიმი პაკოლიჩისა და კიშის გოლებით მოიგო, მეორე ნახევარში სიმონმა და პოპოვიჩმა გაათანაბრეს, შემდეგ კი რატის ჯერიც დადგა.

დიორის მეორე ქართველ დავით ოდიკაძეს მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

### ˝ჭორჭია˝, ევროპელთა გარდა, იაპონელებსაც ეთამაშება

16-17 მაისს ამსტერდამში გასამართ ტურნირზე, რომელსაც TORNEO DEL FUTURO ჰქვია და მომავლის ჩემპიონთა ლიგასაც უწოდებენ, ფონდი არველაძის თაოსნობით, ქართული გუნდიც იასპარეზებს - 1997 წელს დაბადებულთა ნაკრები.

ამ ტურნირზე კლუბები ითამაშებენ, თუმცა გამონაკლისი დაუშვეს და ამსტერდამში საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს. ქართულ გუნდს ჯორჯია ერქმევა, მწვრთნელი კი გამოცდილი სპეციალისტი ნოდარ აკობია იქნება.

ფონდი არველაძის ვებგვერდის ცნობით, წლეულს TORNEO DEL FUTURO-ში რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ესენი არიან მილანის ინტერი , ამსტერდამის აიაქსი , ალკმაარი , ამსტერდამის რაპი , ლონდონის ჩელსი , ბრიუსელის ანდერლეხტი , ჯორჯია და კაშიმა ანტლერსი .

ტურნირზე პირველად იასპარეზებს არაევროპული გუნდი - იაპონიის ჩემპიონი კაშიმა ანტლერსი .

ტურნირის წილისყრა და განრიგი ჯერ უცნობია.

### სირაძე დაიწუნეს

რუსეთის პრემიერლიგის კლუბმა ტომსკის ტომმა საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელ დავით სირაძის მიმართ ინტერესი უარყო.

ორი დღის წინ ტომსკელთა მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ნეპომნიაშჩიმ განაცხადა, რომ მწვავე ფორვარდს ეძებს და მას სირაძის კანდიდატურა შესთავაზეს. თუმცა, მაშინ ტომის დამრიგებელმა თქვა, რომ ქართველი თავდამსხმელის თამაშს კარგად არ იცნობდა და ცდილობდა ამ უკანასკნელის მიერ ჩატარებული მატჩების ვიდეოჩანაწერით გარკვეულიყო ფეხბურთელის შესაძლებლობაში.

საბოლოოდ სპორტ-ექსპრესის ცნობით, ტომსკელებმა ნალჩიკის სპარტაკის ყოფილ ფორვარდზე უარი თქვეს. ახლა სირაძე თბილისის ლოკომოტივში ვარჯიშობს და თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ კარიერა ვერ გააგრძელა, არ არის გამორიცხული, რკინიგზელთა რიგებში დარჩეს.

### "აიაქსის" დანაკლისი

ამსტერდამიას "აიაქსს" ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი გამოაკლდა - ბელგიელი მცველი იან ვერტონგენი და ესპანელი ნახევარმცველი გაბრი. ჰოლანდიური პრესის ცნობით, ისინი გუნდს ვერ დაეხმარებიან უეფას თასის მერვედფინალში, სადაც ამტერდამელთა მეტოქე ფრანგული "მარსელი" იქნება.

21 წლის ვერტონგენმა ჰოლანდიის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში, "უტრეხტთან" მატჩში მიიღო მუხლის ტრავმა. როგორც სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, ბელგიელს თვენახევრიანი უქმობა მოუწევს.

გაბრიმ კი უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში, "ფიორენტინასთან" განმეორებით მატჩში, კუნთი დაიზიანა. მედიკოსთა თქმით, ის, უკეთეს შემთხვევაში, ორ კვირაში დაბრუნდება მოედანზე.

ვერტონგენი 2006 წელს გახდა ამსტერდამული კლუბის საკუთრება, თუმცა პირველ სეზონში "ვალვაიკში" იყო განათხოვრებული. "აიაქსის" რიგებში მას 50 შეხვედრა აქვს ჩატარებული, რომლებშიც 4 გოლი მიითვალა. ვერტონგენმა 9 მატჩში მოირგო ბელგიის ეროვნული ნაკრების ფორმა.

რაც შეეხება 30 წლის გაბრის, ის ჰოლანდიურ გრანდში "ბარსელონადან" 2006 წელს გადავიდა. ამსტერდამელთა შემადგენლობაში ჩატარებულ 78 შეხვედრაში მან 8 გოლი გაიტანა. ესპანეთის ნაკრების ღირსება კი 3 მატჩში დაიცვა.

### კორღალიძე დვალს დაეწია

მოლდოვას საფეხბურთო ჩემპიონატის 22-ე ტურში ლევან კორღალიძისა და ჯაბა დვალის დაჩია ტირასპოლის ტილიგულს ეწვია და მეტოქე 4:0 დაამარცხა.

კიშინიოველები მეორე ტაიმის დასაწყისში ტრინიტაცკიმ დააწინაურა, 62-ე წუთზე კი კორღალიძემ სეზონში მე-5 გოლი გაიტანა და სტუმართა უპირატესობა გაამყარა.

დარჩენილ დროში ზგურამ და ორბუმაც გამოიჩინეს თავი.

დაჩიას ბომბარდირები არიან კორღალიძე, ორბუ და დვალი, რომელსაც ასევე ხუთი გოლი აქვს გატანილი.

ქართველთა კლუბს 44 ქულა მოუგროვდა და ლიდერ ტირასპოლის შერიფს (რომლის კაპიტანიც ვაჟა თარხნიშვილია) 5 ქულით ჩამორჩება.

მომდევნო მატჩს დაჩია 8 მარტს, შინ, რიბნიცას ისკრა-სტალთან გამართავს.

### ˝ბაიერნი˝ რიბერის ვერ შეელევა

მიუნხენის ბაიერნის პრეზიდენტი კარლ ჰაინც რუმენიგე აცხადებს, რომ ფრანგი ნახევარმცველი ფრანკ რიბერი გუნდს არ დატოვებს.

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელის მომავლის შესახებ რუმენიგემ საკუთარი მოსაზრება გერმანულ მედიასთან საუბარში გამოთქვა.

პასუხისთვის ფაქტები უნდა მოვიშველიოთ. ისინი კი იმაზე მეტყველებს, რომ რიბერი კლუბთან 2011 წლამდეა დაკავშირებული და ამ ვადის ამოწურვამდე მის გაშვებას არ ვაპირებთ. რიბერი ჩვენს გუნდში თამაშით ბედნიერია და მას არსად წასვლა არ სურს. ჩემი მეგობარი ჟოან ლაპორტა დამიკავშირდა და დამარწმუნა, რომ, როგორც ამას გაზეთები იუწყებოდნენ, ბარსელონა ისე არ მოიქცევა და ფეხბურთელის გადაბირებას არ შეეცდება , - დასძინა ბაიერნის თავკაცმა.

ფრანკ რიბერი 2007 წლიდან იცავს ბაიერნის ღირსებას. ამ ხნის განმავლობაში ფრანგმა ნახევარმცველმა ბუნდესლიგაში 40 მატჩი ჩაატარა და 17 გოლი გაიტანა. 2006 წლიდან საფრანგეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 32 შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა.

### ამაური იტალიელი ხდება

"იუვენტუსის" ბრაზილიური წარმოშობის თავდამსხმელის კარვალიო ამაურის მეუღლემ იტალიის მოქალაქეობა მიიღო. ასე რომ, უახლოეს მომავალში, შესაძლოა, აპენინური ქვეყნის პასპორტი თავად ამაურისაც მისცენ. იმის გამო, რომ ამაურის აქამდე არც ერთ ეროვნულ ნაკრებში არ უთამაშია, მას ჯერ კიდევ აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საშუალება - რომელი ქვეყანა აირჩიოს "საფეხბურთო სამშობლოდ" - იტალია, რომლის ჩემპიონატშიც უკვე რამდენიმე წელია თამაშობს, თუ ბრაზილია, რომელიც მისი ისტორიული სამშობლოა.

თებერვალში ამაური ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა კარლოს დუნგამ იტალიელებთან ამხანაგური მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებში პირველად გამოიძახა, თუმცა, მოგვიანებით დუნგამ "იუვენტუსის" ხელმძღვანელთა თხოვნა გაითვალისწინა და იმ მატჩისთვის ტურინელთა ფორვარდის დახმარებაზე უარი თქვა. შესაძლოა, ბრაზილიელთა თავკაცს ეს გადაწყვეტილება სანანებელი გაუხდეს, რადგან, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უახლოეს ხანებში ამაური იტალიის მოქალაქეობას მიიღებს და მერე თვითონ გადაწყვეტს, რომელი ქვეყნის ნაკრებში ითამაშოს. როგორც ამბობენ, თვითონ ამაური "სკუადრა აძურას" ანიჭებს უპირატესობას.

### ფეხბურთელები გაიფიცნენ

იმის გამო, რომ ურუგვაის საფეხბურთო პრიმერადივიზიონის კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელებმა ხელფასები და პრემიალური თანხა ვერ მიიღეს, გაფიცვა მოაწყეს. ასე რომ, შეიძლება მომდევნო ტური ჩაიშალოს.

კლუბებს დრო პარასკევამდე აქვთ, რათა ფეხბურთელების დავალიანება გაისტუმრონ. თუ ასეთი რამ მოხდა, მაშინ ჩემპიონატი უახლოეს შაბათ-კვირას განახლდება , - განაცხადა ფეხბურთელთა პროფკავშირების პრეზიდენტმა ენრიკე სარაიამ.

ურუგვაული მასმედიის ინფორმაციით, ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ ნასიონალს ფეხბურთელების დაახლოებით 160 000 დოლარი მართებს, ხოლო ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში მის კონკურენტ პენიაროლს მოთამაშეებისათვის 50 000 დოლარი აქვს გადასახდელი. რაც შეეხება ვილა ესპანიოლს , რომელსაც ასევე 50 000 დოლარი ვალი ჰქონდა, ამ კლუბმა ჩემპიონატის მეორე წრეში მონაწილეობაზე უარი თქვა. მიმდინარე სეზონში გულშემატკივრების ჩხუბისა და სტადიონზე უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ურუგვაის პირველობა ორჯერ შეწყდა.

# ფაჩულია ნიუ იორკში დამარცხდა

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგი მატჩი ატლანტა ჰოუქსმა ნიუ იორკში, მედისონ სქვერ გარდენში ადგილობრივი ნიქსის წინააღმდეგ გამართა. ბოლო ორი მატჩი ზაზამ მაღალ დონეზე ჩაატარა, თუმცა გუშინ, გამთენიისას, ხალხით გადაჭედილ მედისონ სქვერ გარდენში ქართველ ცენტრს, ისევე როგორც მთლიანად ჯორჯიულ გუნდს, თამაში არ წაუვიდა.

მატჩი დაძაბული გამოდგა, თუმცა ატლანტელებმა პირწმინდად წააგეს მეორე და მეოთხე მეოთხედები. სწორედ ამის გამო დათმეს შეხვედრა ანგარიშით 105:109.

ზაზა ფაჩულია ძირითადში არც ამჯერად ყოფილა. მწვრთნელს მისთვის სათამაშო დრო თითქმის არ მიუცია. ქართველმა მოედანზე სულ შვიდი წუთი გაატარა. ზაზამ სამი ქულითა და ერით მოხსნით გამოიჩინა თავი. მან სამივე ქულა საჯარიმოს ხაზიდან დააგროვა, თამაშიდან კი საერთოდ არ შეუტევია მეტოქის ფარისთვის.

ატლანტელთა შორის საუკეთესო იყო ზაზას მთავარი კონკურენტი ალ ჰარფორდი, რომელიც ნიუ იორკთან მატჩში ორმაგი დუბლით გამოირჩა. ჰარფორდმა 36 წუთში 20 ქულა და 13 მოხსნა დააგროვა. მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ლარი ჰიუზი, რომელმაც 23 ქულით დაასრულა შეხვედრა.


ფაჩულიამ ნიუ იორკში ვერაფრით გამოიჩინა თავი

მარცხის მიუხედავად, ატლანტა აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილს ინარჩუნებს. სავარაუდოდ, ფაჩულიას გუნდი რეგულარულ სეზონს სწორედ ამ პოზიციაზე დაასრულებს.

მომდევნო მატჩს ჯორჯიელები შაბათს, გამთენიისას ითამაშებენ. ატლანტა შარლოტ ბობქეთსს დაუპირისპირდება. ეს გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციაში მეთერთმეტე ადგილზეა და პლეი-ოფში მოხვედრის მცირე შანსი აქვს.

# სიტიმ მესი მოინდომა


კაკას შემდეგ ˝სიტიმ˝ მესის ყიდვა მოისურვა

კომიკური ვითარება იქმნება მანჩესტერ სიტის გარშემო. ამ კლუბის არაბი მფლობელები ლამის იხვეწებიან, ვინმეში ასი მილიონი გადაგვახდევინეთო.

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ერთი აყალმაყალი ატყდა კაკას ტრანსფერთან დაკავშირებით. ბრაზილიელის სანაცვლოდ სიტი მილანს 100 მილიონ ევროს სთავაზობდა, თავად ფეხბურთელს კი სეზონში, ხელფასის სახით, დაახლოებით 50 მილიონს ჰპირდებოდა. კაკას ტრანსფერი ჩაიშალა. ახლა კი სიტიმ კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი ამოიღო მიზანში. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, სიტი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე ბარსელონას მიმართავს წინადადებით და მესის ტრანსფერში სწორედ იმ ას მილიონ ევროს შესთავაზებს, რომელიც კაკაში არ გადაახდევინეს.

არ ვიცი, რა გითხრათ მარადონაზე. მასთან არასდროს მიმუშავია და ვერ ვიტყვი, როგორი მწვრთნელი დადგება მისგან. მესისთან მუშაობაზე ვოცნებობ და ვეცდები, ეს ოცნება, რაც შეიძლება, სწრაფად შევისრულო. სწორედ მესიმ შემაყვარა არგენტინა , - აცხადებს ბრიტანელ ჟურნალისტებთან საუბარში სიტის მფლობელი შეიხი ალ-ფაჰიმი.

რამდენად უწერია არაბი შეიხის ოცნებას ასრულება, ძნელი სათქმელია. მესის არაერთხელ უთქვამს, რომ საკუთარი სურვილით ბარსელონას არასდროს არ დატოვებს, კატალონიური კლუბის მესვეურები კი ალბათ ფულს არ დახარბდებიან. რომ დახარბდნენ კიდეც, მესის მაინც ვერ გაყიდიან, რადგან გულშემატკივარი ამას ნამდვილად არ აპატიებს.

იმის ალბათობა, რომ ზაფხულში მესი სიტიში გადავა, ძალზე მცირეა, ქალაქელთა არაბმა მფლობელმა კი თავისი ასი მილიონი სხვა ფეხუბრთელში უნდა დახარჯოს. ახლა საინტერესოა, ვინ იქნება კაკასა და მესის შემდეგ მესამე.

# ფიგუს ბარსას დატოვება არასდროს სდომებია

ხუთი წლის განმავლობაში ლუიშ ფიგუ კატალონიელთათვის უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო, თუმცა 2000 წელს მოხდა ბევრისთვის მოულოდნელი რამ, ბარსას ფანებისთვის კი - ღალატის ტოლფასი. მადრიდის რეალის პრეზიდენტად დანიშნულმა ფლორენტინო პერესმა ბარსელონადან სამეფო კლუბში კარიერის პიკში მყოფი ლუიშ ფიგუ გადაიბირა.

მას შემდეგ პორტუგალიელმა არაერთი მატჩი გამართა ბარსას წინააღმდეგ და რამდენჯერაც ჩავიდა ნოუ კამპზე , სტვენითა და ლანძღვა-გინებით დახვდნენ. ახლა ფიგუ მილანური ინტერის ღირსებას იცავს და ალბათ სეზონის ბოლოს კარიერასაც დაასრულებს. ამ დღეებში პორტუგალიელმა წარსული გაიხსენა და ყველასთვის მოულოდნელად განაცხადა, რომ რეალში გადასვლაზე არასდროს არ უფიქრია, რომ მისი ტრანსფერი ბარსელონას მესვეურთა დამსახურებაა .



*ფიგუ წარსულს იხსენებს და თავს იმართლებს.*

"თავის დროზე არ ვიტყუებოდი, როცა ვამბობდი, "ბარსელონაში" დარჩენა და კარიერის აქ დასრულება მინდა-მეთქი. ჩემი სურვილის შესახებ პრეზიდენტმაც მშვენივრად იცოდა. ამის მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობამ ჩემი ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო. ერთადერთი შეცდომა მაშინ დავუშვი, როცა ინტერვიუში განვაცხადე, აქედან არსად წამსვლელი არ ვარ-მეთქი. მაგრამ ეს დიდი ხნის წინ მოხდა და, რაც არ უნდა ვეცადო, წარსულს უკან ვერ დავაბრუნებ. როცა კარიერას დავასრულებ, აუცილებლად ჩავალ ბარსელონაში. კარგად მესმის, რომ თბილი დახვედრა არ მელის, რომ ამჯერად ჩემი ავტოგრაფი არავის ენდომება, მაგრამ ვეცდები, კატალონიელ გულშემატკივრებს ყველაფერი ავუხსნა, რადგან მათ დიდ პატივს ვცემ. ამის გარდა, ჩემი მეუღლე იქ გავიცანი და ჩვენი გოგონაც იქ დაიბადა. ასე რომ, ბარსელონას ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კატალონიაში ხუთი დაუვიწყარი სეზონი გავატარე და მინდა, იქაურობის მონახულებით, ის შესანიშნავი პერიოდი კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით გავიხსენო", - ამბობს ფიგუ.

პორტუგალიელი 1995-2000 წლებში იცავდა "ბარსას" ღირსებას და ამ პერიოდში გუნდში ჩატარებულ 172 მატჩში 30 გოლი გაიტანა. მომდევნო ხუთი სეზონი კი ფიგუმ კატალონიელთა ყველაზე პრინციპული მეტოქის - "რეალის" შემადგენლობაში გაატარა. 2005 წლიდან ის "ინტერის" რიგებში ასპარეზობს და მისი ფორმით გამართულ 94 მატჩში 9-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი. პორტუგალიის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში მან 127 მატჩი ჩაატარა და 32 სანაკრებო გოლი მიითვალა. თავის დროზე ფიგუ ოქროს ბურთის მფლობელიც იყო.

# ელ ფენომენო დაბრუნდა და გაილახა

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა რონალდომ გასული წლის 13 თებერვალს მილანის შემადგენლობაში ლივორნოსთან 1:1 დასრულებულ მატჩში მიღებული მძიმე ტრავმის შემდეგ პირველი ოფიციალური თამაში ბრაზილიის თასზე კორინთიანსის შემადგენლობაში ჩაატარა.

რონალდოს მარჯვენა მუხლის მყესი ჰქონდა გაწყვეტილი და 13-თვიანი შესვენების შემდეგ იტუმბიარისთან 2:0 მოგებულ მატჩში მეორე ტაიმი ითამაშა.

ბრაზილიელი ჟურნალისტების ცნობით, მოედანზე გატარებული დროის განმავლობაში 32 წლის ფორვარდი ბურთს რამდენჯერმე შეეხო, გოლის გატანის შესაძლებლობა კი არ ჰქონია.

რონალდო რამდენიმე თვის წინ ჩაირიცხა კორინთიანსში . კლუბის მესვეურებმა დაუფიქრებლად გააფორმეს კონტრაქტი ცოცხალ ლეგენდასთან, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტრავმის შესახებ კარგად იცოდნენ. სამი თვის განმავლობაში რონალდო ფორმის აღდგენას ცდილობდა. იტუმბიარისთან მატჩის 67-ე წუთზე, როდესაც თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, რონალდო მოედანზე გამოჩნდა და, მიუხედავად იმისა, რომ მინდორზე ღირებული არაფერი გაუკეთებია, კორინთიანსის მწვრთნელი კიჭას თამაშით კმაყოფილი დარჩა.



*რონალდო დაბრუნდა*

მიმაჩნია, რომ რონალდოს დებიუტი წარმატებულია. კარგად მოძრაობდა და რამდენჯერმე დრიბლინგის შესრულებაც სცადა , - ამბობს კორინთიანსის მთავარი მწვრნელი მანო მენეზესი.

რონალდოს პირველი თამაში დიდი აპუზის შემდეგ კიდევ ერთი ფაქტის გამო იქცევს ყურადღებას. მატჩის შემდეგ რონალდო ბრაზილიელი ჟურნალისტების გარემოცვაში აღმოჩნდა. რეპორტიორთა არმიამ ალყაში მოაქცია ფეხბურთელი, რათა მისგან ერთი სიტყვა მაინც მოესმინათ. ერთ-ერთმა ტელეჟურნალისტმა იმდენად უხეშად სცადა ინტერვიუს აღება, რომ რონალდოს მიკროფონი თვალში მოარტყა. გამწარებულმა ელ ფენომენომ ისე დატოვა სტადიონი, რომ ხმა არ ამოუღია.

ბრაზილიურ მედიაში გავრცელდა ამ ინციდენტის თვითმხილველთა კომენტარი. მათი თქმით, ფეხბურთელს მარჯვენა თვალი ჩალურჯებული აქვს.

ერთი კვირის წინ რონალდო იმის გამო მოექცა მედიის ყურადღების ცენტრში, რომ კორინთიანსის ვარჯიშზე დააგვიანა, რის გამოც ის დააჯარიმეს.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ რონალდოს შეუპოვრობა პატივისცემის ღირსია. პსვს, ბარსელონას , რეალის , ინტერისა და მილანის ყოფილმა ფეხბურთელმა თავის დროზე ორი უმძიმესი ტრავმა გადაიტანა. როდესაც ფეხბურთელი მილანის შემადგენლობაში დაშავდა, ყველას ეგონა, რომ ამით რონალდოს კარიერა დასრულდა, მაგრამ, უკვე მერამდენედ, დაამტკიცა, რომ მისი გატეხვა შეუძლებელია. რონალდოზე ჯერ კიდევ 2006 წლის მუნდიალის წინ ჩაიქნიეს ხელი, თუმცა ფეხბურთელი დაბრუნდა და ურიგოდ არ უთამაშია. წონაში მომატებული იყო, მაგრამ მოედანზე თავის საქმეს მაინც აკეთებდა. ახლა რონალდო კიდევ ერთხელ დაბრუნდა და, თუ ფორტუნა ზურგს არ შეაქცევს, ვინ იცის, იქნებ ათამაშდეს და ისევ გაგვახაროს ლამაზი ფეხბურთით.

## "კიოლნმა" ვომეს ვერ მიაგნო

გერმანიის პირველი ბუნდესლიგის კლუბ კიოლნის ხელმძღვანელობამ და სამწვრთნელო შტაბმა კამერუნელი მარცხენა მცველის პიერ ვომეს ადგილსამყოფელს ვერ მიაგნო. 29 წლის ფეხბურთელი, რომელიც ბოლო 6 კვირის განმავლობაში ტრავმირებულ ფეხს მკურნალობდა, გუნდს უნდა შეერთებოდა, მაგრამ დათქმულ დროს დანიშნულების ადგილზე არ გამოცხადდა. კიოლნის თავკაცები მას ტელეფონითაც ვერ დაუკავშირდნენ. წარმოდგენა არ მაქვს, სად არის ის. შესაძლოა, სადმე იტალიაში, პირად ექიმთან , - განაცხადა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა.

## "გრააფსხააპს" კალეჟიჩი გაწვრთნის

ჰოლანდიის ერედივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერ გრააფსხააპის ახალ მთავარ მწვრთნელად, გუნდიდან გაშვებული ჰენკ ვან სტეეს ნაცვლად, დარიე კალეჟიჩი დანიშნეს. 39 წლის კალეჟიჩს (ის წარმოშობით ბოსნიელია) კლუბის ხელმძღვანელობამ ერედივიზიონში ადგილის შენარჩუნება დაუსახა მიზნად. ამჟამად ჰოლანდიის 18-გუნდიან ჩემპიონატში გრააფსხააპს მე-17 ადგილი უკავია და უახლოეს კონკურენტ როდას 4 ქულით ჩამორჩება.

## ჰარტი "პორტსმუთში" სეზონს ჩაამთავრებს

ინგლისის პრემიერლიგის საფეხბურთო კლუბ პორტსმუთის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი პოლ ჰარტი სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებს დაკავებულ თანამდებობას. ამის შესახებ უეფას ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება. პორტსმუთის თავკაცების აზრით, 55 წლის სპეციალისტი, რომელმაც თებერვლის დასაწყისში ტონი ადამსი შეცვალა, დაკისრებულ მოვალეობას ჯერჯერობით თავს კარგადართმევს. ჩვენ კმაყოფილი ვართ, რადგან გუნდი უკეთ ათამაშდა. მთავარ მწვრთნელთან დაკავშირებულ საკითხს მხოლოდ სეზონის ბოლოს დავუბრუნდებით , - განაცხადა პორტსმუთის აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ სტორიმ.

## ავსტრიის ნაკრები კონსტანტინის ჩააბარეს

ავსტრიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად 53 წლის ადგილობრივი სპეციალისტი დიტმარ კონსტანტინი დაინიშნა. 1991 და 1992 წლებში ის ორჯერ თავკაცობდა თავისი ქვეყნის უმთავრეს საფეხბურთო გუნდს, თუმცა მაშინ დროებით ასრულებდა მთავარი მწვრთნელი მოვალეობას. ახლა კი მასთან სრულფასოვანი კონტრაქტი გაფორმდა. აქამდე ავსტრიის ნაკრების დამრიგებლის პოსტი ეკავა ჩეხ კარელ ბრუკნერს, რომელმაც ორი დღის წინ საკუთარი სურვილით დატოვა თანამდებობა. ახალი თავკაცის დიტმარ კონსტანტინის ხელმძღვანელობით, ავსტრიელები პირველ მატჩს 1 აპრილს გამართავენ - ამ დღეს, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში, მათი მეტოქე რუმინეთის ეროვნული გუნდი იქნება. ცნობისთვის, შესარჩევი ციკლის ოთხ მატჩში ავტრიელებს მხოლოდ 4 ქულა აქვთ და ამ შედეგით მესამე ადგილზე არიან.

## რაიკაარდი "მილანზე" დაფიქრდება

იტალიური პრესა თანხმდება, რომ სეზონის დასრულების შემდეგ კარლო ანჩელოტი მილანის მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებს (ან დაატოვებინებენ). აპენინელი ჟურნალისტები აქტიურად ცდილობენ შეიტყონ, ვინ იქნება ანჩელოტის მემკვიდრე. სავარაუდო კანდიდატთა შორის ყველაზე ხშირად ასახელებენ ჰოლანდიის ნაკრებისა და ბარსელონას ყოფილ დამრიგებელს ფრანკ რაიკარდს, რომელიც ფეხბურთელობის პერიოდში 5 სეზონის (1988-93 წწ) განმავლობაში როსონერის ღირსებას იცავდა. ზოგიერთი იტალიური გამოცემა ამტკიცებს, რომ მილანის ხელმძღვანელები ჰოლანდიელთან უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას და მას კონკრეტული პირობებიც შესთავაზეს, რასაც კატეგორიულად უარყოფს რაიკარდის აგენტი პერი ოვერემი. თუმცა ეს უკანასკნელი იქვე ამატებს, შესაფერისი წინადადების მიღების შემთხვევაში ჩვენ მას დიდი ყურადღებით განვიხილავთო. მიმდინარე წელს მილანის მესვეურთა და ჩემი ინტერესები რამდენჯერმე გადაიკვეთა, თუმცა შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ რაიკარდის როსონერის თავკაცის პოსტზე შესაძლო დანიშვნის შესახებ ერთხელაც არ გვისაუბრია. რა თქმა უნდა, ფრანკს მილანთან ბევრი რამ აკავშირებს და არ არის გამორიცხული, კლუბის ხელმძღვანელებმა არჩევანი მასზე შეაჩერონ. თუ რაიკარდი შეთავაზებას მიიღებს, გარწმუნებთ, ის მას დიდი ყურადღებით განიხილავს , - განუცხადა ოვერემმა იტალიელ ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ მისი თავკაცობით ჰოლანდიის ეროვნულმა ნაკრებმა 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ითამაშა. ბარსელონაში კი რაიკარდი ხუთი სეზონის განმავლობაში მუშაობდა და კატალონიურ გრანდს ჩემპიონთა ლიგა და ორჯერ ესპანეთის პრიმერა მოაგებინა.

# The New York Times offers a "window" to the world




- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.

- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".




*ბირმინგემში (ცენტრალური ინგლისი) ბადმინტონის ოსტატებს მოუყრიათ თავი. ჩინელები, სკანდინაველები, ბენილუქსელები და, რა თქმა უნდა, მასპინძლები. ჯერჯერობით მეორე წრის მატჩები მიმდინარეობს. ჰოლანდიელი ჯუდით მეულენდიკსის მოწოდება რომ მოუგერიებია, ჩინელი ლუ ლანია. ტურნირის სახელი კი ასე ჟღერს: "მთელი ინგლისის ღია პირველობა".*

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოძრავი საოპერაციო

ბლოკით

S L T - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად
დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი

# თვითმცლელი:

BMC PRO 935 FTE.
8X4

მიწოდების ვადა
1
დღე

BMC



ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი
მწარმოებელი: BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ$^3$
ძრავი: Cummins C 350-20 (Euro 2)
Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S
ბეტონშემრევი დანადგარი: LIEBHERR
გარანტია: 1 წელი
მიწოდების ვადა: 1 დღე
ანგარიშსწორება: 3-5 წლიანი ლიზინგი

TEGETA TRUCK & BUS LTD
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
244-744, 244-744 (1219)


# ინფორმაცია

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2009 წლის ასიგნებების ფარგლებში, სამინისტროს და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ზოგიერთი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ადმინისტრაციული შენობების დასუფთავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2009 წლის ასიგნებების ფარგლებში, სამინისტროს და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ზოგიერთი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ადმინისტრაციული შენობების დასუფთავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გაზეთ „24 საათში“ 17.01.2009წ. გამოცხადებულ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული —- ი/მ ვახტანგ იაკობაშვილი“, გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N47/ბ 27.02.09 სახელშეკრულებო ღირებულებით 68 700 ლარი.

# განცხადება

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს საფრანგეთის ს.ს. „ტრანსამინი“-ს წარმომადგენლობა საქართველოში-ს ლიკვიდაცია.

ყველა დაინტერესებულ პირს გთხოვთ გამოგვეხმაუროთ შემდეგ მისამართზე:

არაყიშვილის ქ. N14, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 915053; 915054

საფრანგეთის ს.ს. „ტრანსამინი“-ს წარმომადგენლობა საქართველოში-ს დირექტორი/ლიკვიდატორი - ქეთევან კვინიკაძე

საკონტაქტო პირი - თამარ შარიქაძე

04 მარტი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „დავების განმხილველი ცენტრი“
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი „რესპუბლიკა“-ს საარბიტრაჟო პრეტენზია ინგა ბაბუაძისა და ნანული სარიშვილის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **6 335.02 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 13 მარტს 15:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველი ცენტრში“ შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, გამრეკელის (ყოფ.კუტუზოვის) ქ.N19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხეები ინგა ბაბუაძე, მცხ: ქ.თბილისი, მარაბდის ქ.N25 და ნანული სარიშვილი, მცხ: ქ.თბილისი, არაყიშვილის ქ.N2.

# ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე:

2009 წლის 23 იანვარს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საავტომობილო საწვავის ტენდერში **I, II** და **III** ლოტებში გამარჯვებულად გამოვლინდა ს.ს.“ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ წინადადება და 23 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგ თანხაზე - 140.825 ლარი.

**04 მარტი, 2009წ.**

**მუდმივმოქმედი არბიტრაჟი
„დავების განმხილველი ცენტრი“
DRC-ს სასამართლო**

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი „რესპუბლიკა“-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია პაატა ახალკაცის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **6 404.39 აშშ დოლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 12 მარტს 12:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველი ცენტრში“ შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, გამრეკელის (ყოფ.კუტუზოვის) ქ.N19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე პაატა ახალკაცი, მცხ. ქ.რუსთავი, მე-8 მკრ., კორპ.N1, ბინაN92. Aალტ. მის: ქ.თბილისი, დადიანის 87, 1/13.

# განცხადება

**2009 წლის 25 თებერვალს №41 გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ განცხადებაში (შპს ”თბილისის მეტრო”-ს საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომობილების) გასხვისების მიზნით მოსაწყობი აუქციონის თაობაზე) ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ**

ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 06 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ”დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ” და ”შპს ”თბილისის მეტროს” საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომობილების) აუქციონის წესით გასხვისების შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 05 თებერვლის №03.25.79 დადგენილების საფუძველზე, შპს ”თბილისის მეტრომ” გამოაცხადა აუქციონი (2009 წლის 25 თებერვალს №41 გაზეთ 24 საათში ) შპს ”თბილისის მეტრო”-ს საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომობილების) გასხვისების მიზნით.

გამოცხადებული განცახდების №16;17;19 ლოტებში დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ:

| ლოტის № | მოძრავი ქონების დასახელება | მარკა/მოდელი | საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ დოლარის ექვილენტი ლარში) |
|---|---|---|---|
| 16 | ა/მანქანა | გაზ 2705 | 800 |
| 17 | ა/მანქანა | ზილ 431410 | 1000 |
| 19 | ა/მანქანა | ოპელ ომეგა 2.5 TD | 100 |

ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით ვაზუსტებთ ზემოხსენებულ ლოტებზე საწყისს გასაყიდ ფასს:

| ლოტის № | მოძრავი ქონების დასახელება | მარკა/მოდელი | საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ დოლარის ექვილენტი ლარში) |
|---|---|---|---|
| 16 | ა/მანქანა | გაზ 2705 | 900 |
| 17 | ა/მანქანა | ზილ 431410 | 800 |
| 19 | ა/მანქანა | ოპელ ომეგა 2.5 TD | 1000 |

აუქციონის სხვა პირობები უცვლელია და იხილეთ 2009 წლის 25 თებერვალს №41 გაზეთ 24 საათში.

სააუქციონო კომისია

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ საავტომობილო საწვავის შეძენაზე ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ს/ს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, რომელთანაც 2009 წლის 25 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ტენდერს 220კვ-იანი გამთიშველებისა და ამომრთველების საძირკვლების დამზადების სამუშაოების შესყიდვის განსახორციელებლად **(სამი ლოტი):**

| ლოტის № | შესასრულებელი სამუშაოს დასახელება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი (მისამართი) | სამუშაოს შესრულების და მიწოდების სასურველი ვადები |
|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | 220კვ-იანი გამთიშველების საძირკვლების დამზადება | 27 ცალი | ქ/ს გლდანი-220 *თბილისი გლდანის VII მიკრორაიონი სამრეწველო ზონა* | შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 70 დღის განმავლობაში ეტაპობრივად |
| | | 12 ცალი | ქ/ს ლისის-220 *მცხეთის რ-ონი სოფ. ლისი* | |
| | | 33 ცალი | ქ/ს გარდაბანი-500 *გარდაბანი ალმაშენებლის ქ. № 2* | |
| | | 9 ცალი | ქ/ს რუსთავი-220 *რუსთავი ჩათმის მთა* | |
| | | ჯამი: 81 ცალი | | |
| ლოტი №2 | 220კვ-იანი გამთიშველების საძირკვლების დამზადება | 3 ცალი | ქ/ს ქსანი-500 *კასპის რ-ონი სოფ ქსანი* | შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 70 დღის განმავლობაში ეტაპობრივად |
| | | 27 ცალი | ქ/ს გორი-220 *გორის რ-ნი სოფ. ტინისხიდი* | |
| | | 6 ცალი | ქ/ს ხაშური-220 *ხაშური გაგარინის ქ. № 86* | |
| | | 18 ცალი | ქ/ს ქუთაისი-220 *თერჯოლის რ-ნი სოფ. სარბევი* | |
| | | 15 ცალი | ქ/ს შენაკი-220 *სენაკი ჯანაშიას ქ. № 2* | |
| | | ჯამი: 69 ცალი | | |
| ლოტი №3 | ამომრთველების საძირკვლების დამზადება | 5 ცალი | ქ/ს რუსთავი-220 *რუსთავი ჩათმის მთა* | შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 45 დღის განმავლობაში ეტაპობრივად |
| | | 20 ცალი | ქ/ს გლდანი-220 *თბილისი გლდანის VII მიკრორაიონი სამრეწველო ზონა* | |
| | | ჯამი: 25 ცალი | | |

სამუშაოების კონკრეტული ჩამონათვალი იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში (ტექნიკურ პირობებში და ხარჯთაღრიცხვაში).

**აუცილებელი პირობა:**

შესყიდვის განხორციელებისას ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1% ოდენობის, ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5% ოდენობის.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი **200 (ორასი) ლარის** ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ანგარიშზე: **სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“, ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101502, ა/ა 283534100, ს/კოდი: 204995176.** და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის ნომერი **T-0209 G-007.**

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან **2009 წლის 26 მარტის 18:00 საათამდე.**

დაფინანსების წყარო—შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სახსრებით.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 27 მარტს 10:00საათიდან 15:00 საათამდე (თბილისის დროით),** შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.№2, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესყიდვების სამსახურში, ოთახი №311.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება **2009 წლის 27 მარტს 15:00 საათზე (თბილისის დროით)** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სათაო ოფისის შენობა, სათათბირო დარბაზი.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია:

**იურიდიულ პირთათვის;**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
2. ცნობა ყადაღის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები).

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი, საკონტაქტო რეკვიზიტები).
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლების სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის სახით.

ყველა საჭიროებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია ინგლისურ ან რუსულ ენაზე (ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.) დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი №**T-0209 G-007.**

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა საკვალიფიკაციო მონაცემებს ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი, ასევე თუ მიმდინარეობს პრეტენდენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა თითოეული ლოტის მიხედვით.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება თითოეული ლოტის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2.

საკონტაქტო პირი: შესყიდვების სამსახურის შესყიდვების აგენტი მანანა ამაღლობელი. ტელ: +995 989816; მობ. 877 755430

## იყიდება ფართი ჭავჭავაძის 17ა-ში

*ფართობი:* **საოფისე ფართი ევრორემონტით** *1 684 კვ.მ.*
**სარდაფი** *334 კვ.მ.*
**ავტოფარეხი** *525 კვ.მ.*

**სულ:** *2 543 კვ.მ.*

*ფასი: 1 900 000 დოლარი*
*(შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში)*
ტელ: 22 17 65; 877 955 707.

## განცხადება

